

მოთხოვთ გები ბაზესებისთვის

40

წელი



ავტორი:

სელჯენ იუქსელ არვას

მხატვარი:

დერია იშიქ ოზბაი



შესავალი

დიანეთის საქმეთა სამმართველოს
გამოცემლობა/1080
საბავშვო წიგნები/283
მოთხოვების ბავშვებისთვის - 40
ვედრება

გამოცემლობის ხელმძღვანელი: დრ.
ფათიშ ქურთ
გამოცემლობის კოორდინატორი:
ბუნიამინ ქაპრამან
რედაქტორი: ზეინეფ ულვიე ოზქან
გამოცემის კონტროლი: ისმაილ დერინ
გამოცემის მომზადება: ალი იუჯეერ
დამზადა: ქალალდის გემის სააგენტომ
ავტორი: სელფენ იუქსელ არვას
მხატვარი: დერია იშიკ იზბაი
პროექტის რედაქტორი: სევდე სევან უსაქ
გარეკანის დიზაინი: ფათმა ჰანდე სოიით
გრაფიკული დიზაინი: შეიდა ჯანსევერ
შესწორება: ასენა მერიჩ
რელიგიური სამმართველოს
აღმასრულებელი კრების
გადაწყვეტილება: 17.02.2015/31
ისბნ: 978-975-19-6350-5
2017-06--003-1080
სერტიფიკატის ნომერი: 12931

ქართულად თარგმნა: ნინო კახაძემ
ქართული გრაფიკა: ბილალ ილქაი

ძვირფასო ბავშვები,

კიდევ ერთ ახალ წიგნს ვეცნობით. ამ წიგნში, ჩვენი
ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, „ვედრებას“ დავუთმეთ
ადგილი.

თქვენ იცით, რომ ვედრება უზენაესი ალლაჰისგან
რაიმეს თხოვნას ნიშნავს. როგორც ყურ'ანუ ქერიმშია
გადმოცემული: (ატიქა 5). ალლაჰი ასევე ბრძანებს: (აკარა
186).

ჩვენ აბსოლუტურად ყველაფერს, რასაც მოვისურვებთ,
გულში გავივლებთ, შეგვეხალისება, რასაც გულში
ჩავიდებთ, ვინაგრებთ, შევხარით და სსხვებსაც,
ალლაჰისგან ვისურვებთ. ჩვენ შეგვიძლია ყოველ წამს
შევევედროთ, როცა გულში გავივლებთ. დაწოლისას,
ადგომისას, სკოლაში წასვლისას, პარკში თამაშისას...

ჩვენ მას რომ შევევედრებით, ის სხვადასხვა მიზეზებს
წარმოშობს, რომ ჩვენი სურვილი აგვისრულოს. ზოგჯერ
სიხარულს დედის ხელით ვენევით, ზოგჯერ - და-ძმის
ნათევამით... ზოგჯერ მეგობარი გახდება შუამდგომელი,
ზოგჯერ კი - უცნობის საჩუქარი...

სწორედ ამ წიგნში, ერთმანეთზე უკეთეს ვედრებებს
დავუთმეთ ადგილი. ყოველი მათგანი თითო მოთხოვნაში
მოვაქციეთ. მოთხოვნები კი დავასურათეთ. ვისურვებთ,
რომ ამ ერთმანეთზე უკეთესი ვედრებების ნაკითხვისას,
კიდევ უფრო უკეთესი ვედრებები მოიფიქროთ. თქვენთან
ერთად, თქვენ ირგვლივ მყოფებიც ნახავენ სარგებელს ამ
ვედრებებით. სასიამოვნო კითხვას გისურვებთ...

დიანეთის საქმეთა მმართველი



გამანი ჯო ბა

გამოუვალ მდგომარეობაში რომ ჩავარდებით, ვისთან მიღიხართ? ან რაიმე რომ მოგინდებათ, რამეს რომ ისურვებთ, ვისთან წახვალთ? დედასთან? მამასთან? დაძმასთან? მასნავლებელთან? ყველაზე ახლო მეგობართან? რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ უამრავ თქვენს სურვილს სხვა ადამიანი ასრულებს. თუმცა, ყველა ეს ადამიანი შუამდგომელია. ყველაფერს, რასაც გულში გავივლებთ, ალლაპი ქმნის.

მხოლოდ თქვენთვის არა, დედისთვის, მამისთვის, მეგობრებისთვის, ყველა საყვარელი ადამიანისთვის, უბნის პატარა კატებისთვის, დილაობით ფანჯარასთან მოჭიკიკე ჩიტებისთვის რასაც ისურვებთ, ყველაფერს ის ასრულებს. ასე რომ, სირთულეს რომ გადავაწყდებით, რაიმე სურვილი რომ გვექნება მივმართავთ თქვენი, ჩვენი, ყვავილების, ხილის, ქუჩის კატების, მფრინავი ჩიტების, მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და ყველაფრის შემქმნელს, რაც კი გაგახსენდებათ ან არ გაგახსენდებათ, უზენაეს ალლაპს.

უზენაესმა ალლაპმა ისურვა, რომ მას შევვედრებოდით. მას შემვედრებლები ძალიან უყვარს. ვედრებების შესმენაც ძალიან უყვარს. მასზე შესავედრებლად გაშლილი პანია ხელები კიდევ უფრო უყვარს. ის, მისთვის გაშლილ ხელებს უპასუხოდ არ დატოვებს.

ეს წიგნი, უზენაესი ალლაპისადმი შევვედრებული ვედრებების კრებულს გთავაზობთ. ყოველი ვედრება ჩვენი შემოქმედის ლამაზი სიტყვებით შევამკეთ. პატარა მოთხოვებიც დავურთეთ. ეს იმისთვის, რომ სიამოვნებით წაგეკითხათ, მარტივად გაგეგოთ, არ მოგეწყინათ, ბევრი ვედრება წარმოგეთქვათ და ამ ვედრებებში ჩვენც გაგხსენებოდით.

სასიამოვნო კითხვასა და ბევრ ვედრებას გისურვებთ...

სენჯელ იუქსელ არვას





სანქცივი

ანგელოზი	8 - 9
ბაჟ ბჟი	10 - 11
კრისტონაბი	12 - 13
გები	14 - 15
ლა-ბბა	16 - 17
მასლახი	18 - 19
საბღო	20 - 21
ნ ჟიბა	22 - 23
ტალახი	24 - 25
კატა	26 - 27



მოხუცი	28 - 29
ჯანმრთელობა	30 - 31
ცხრილი	32 - 33
ტკბილობის გამცემი ბაზე	34 - 35
სასამაგრებლო	36 - 37
ველი ბის ჩვეული	38 - 39
ორნამენტი	40 - 41
სისწმინდე	42 - 43
ბოჭო ბი	44 - 45
ორველი	46 - 47



- 
- გასაღები ბი 48 - 49
მკ ზავნონ ბა 50 - 51
დაბბანი ბა 52 - 53
კო შკი 54 - 55
ალალია 56 - 57
ველოსიბური 58 - 59
ლაქა 60 - 61
62 - 63
64 - 65
66 - 67
- 
- 

ჩანაბეჭით	68 - 69
სკოლა	70 - 71
შევინილი	72 - 73
სუვერინი	74 - 75
სილმაში ზე	76 - 77
საჩუქრები	78 - 79
ქსოვა	80 - 81
შზილდვა	82 - 83
ღამე	84 - 85
ბებია	86 - 87

MUSICAL EDUCATIONAL CENTER FOR CHILDREN
www.musicalcenter.ge



ანგელოზი

ელიფს ბებიის ბებია ცოცხალი ჰყავდა. მას ბებია მელექს (ანგელოზს) ეძახდნენ. მელექი არ ერქვა, მაგრამ ელიფმა არ იცოდა, მელექს რატომ ეძახდნენ. ელიფს ბებია მელექი ძალიან უყვარდა. ბებია მელექი მას ერთმანეთზე უკეთეს ზღაპრებს უყვებოდა, თმებზე ეფერებოდა და ასე აძინებდა.

ერთ დღეს, ბებია მელექი რომ ლოცულობდა, ელიფი მის გვერდით გაკვეთილებს მეცადინეობდა. ბებია მელექმა ლოცვა რომ დაასრულა, ხელები გაშალა და ვედრება დაიწყო: „ჩემო ალლაჰო, ბოლო ამოსუნთქვამდე ლოცვის შემსრულებელ ადამიანად მამყოფე. ჩემი შვილები, ჩემი შვილების შვილები, მათი შვილები და იმათი შვილებიც ლოცვის შემსრულებლები ყოფილიყვნენ. ისეთივე ლამაზი ცხოვრება უბოძე ჩემს შვილებს, როგორიც მე მაჩუქე. ჩემი შვილების შვილებს, მათ შვილებს და იმათ შვილებსაც აჩუქე.“ ელიფმა ვერ მოითმინა და სიცილით უთხრა:

„ოოო ბებია მელექ, რამხელა ვედრებას წარმოთქვამ. ჩემი შვილების შვილები, მათი შვილები, იმათი შვილები... ოოო... ეს ვედრება დღეს არ დასრულდება.“ ბებია მელექსაც გაეცინა.

„ეს ცუდია? ვინ იცის, ვინ შეევედრა ჩემთვის და ალლაჰს დიდი მადლობა, ასე კარგად ვიცხოვრე. ინშალლაჰ ალლაჰი შეისმენს ჩემს ვედრებას და ჩემი შთამომავლები, ჩემი ყველა შვილი ასე კარგად იცხოვრებს,“

-უთხრა. აი ამ დღეს მიხვდა ელიფი, ამ ტკბილ მოსუცს მელექი რატომაც დაარქვეს.

„ღმერთო ჩემო!
მქმენ მეც და ჩემი
შთამომავალნიც,
ლოცვის მართებულად
აღმსრულებელნი.
ღმერთო ჩვენო! შეისმინე
ჩემი ვედრება!“

(იბრაჰიმ, 40)





ბავშვი

ოსმანს პატარა ძმა ჰყავდა, რომელსაც ალი ერქვა. ცელქი ბავშვი იყო, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. მთელ სახლს თავდაყირა აყენებდა. გასაფუჭებელი რამე თუ იყო, ალიც იქ იყო. სულ პატარა იყო და რას არ აკეთებდა. ოსმანის დედა საღამომდე პატარა ვაჟის მეთვალყურეობით დაღლილი, არაქათგამოცლილი იყო. ბობლვისას თავი არაფერზე რომ მიერტყა, უკან დაყვებოდა, სადმე აცოცებისას, რომ არ ჩამოვარდნილიყო, მის უკან იცდიდა, პატარა ნივთები პირში რომ არ ჩაედო, თვალ არ აშორებდა.

ერთ დღესაც ოსმანმა უთხრა: „დედიკო, ეს ჩემი ძმა რა ძალიან ცელქია. შენც ძალიან გდლის.“

დედას გაეცინა და უთხრა: „შენ გგონია, რომ სხვანაირი იყავი? ყველა ბავშვი ასე იზრდება. როცა გაიზრდებიან, ფიქრობ საქმე მთავრდება? სკოლა, გაკვეთილები, პრობლემები... შორიდან რომ უყურებ, გგონია, რომ ეს აუტანელია. თუმცა შემოქმედი იმხელა სიყვარულითა და სითბოთი ავსებს მშობლების გულს, რომ ყველა ამ პრობლემას სიხარულით ხვდები.“

სწორედ ამ დროს, ალიმ დედის ფეხის ლონა დაიწყო.

„დედა, ფეხის შექმასაც

კი შეეგუები?“ -ჰკითხა
ოსმანმა მოუსვენრად.

„არა,“ -უპასუხა

დედამ სიცილით,

- „ამდენიც არაა

საჭირო!“

დედამ ალი ხელში

აიყვანა და ორივე ვაჟი

სიხარულით ჩაიკრა

გულში.

„და ისინი

მფარველობის ქვეშ
აიყვანე ლმობიერებითა
და თავმდაბლობით და
თქვი: ღმერთო ჩემო!
პატარაობისას როგორც
გამზარდეს, ისე შეიწყალე
ესენი!“

(ისრა 24)



მისი ბეჭდი ეს არ არის უკანონო

www.musim.georgia

ქრისტონები

დურუ და ელიფი ერთად სახლობანას თამაშობდნენ.

„გინდა ჩემი ძვირფასეულობა გაჩვენო?“ -ჰკითხა თამაშისას ელიფმა. აღელვებული დურუ დაეთანხმა. უკანა ოთახში წავიდნენ. ეს, ელიფის ბაბუას ოთახი იყო. ოთახის ერთ კუთხეში უზარმაზარი ზანდუკი იდო. ელიფმა ზანდუკი გახსნა.

„ააა!“ - წამოიყვირა დურუმ მისდა უნებურად, - „ძვირფასეულობა! უამრავია!“

„ხომ გითხარი,“ -უთხრა ელიფმა, - „ბაბუა ამ ყველაფერს ჩემთვის ინახავს. როცა გავიზრდები, ყველა ჩემი იქნება.“

გოგონებმა ზანდუკის დათვალიერება დაიწყეს. ფერადი „ძვირფასეულობები“ კისერზე ჩამოიკიდეს. ხითხითით თამაშობდნენ, როცა ელიფის დედა ოთახში შევიდა.

„ალიფ, ბაბუას კრიალოსნებით რას აკეთებ?“

„დედა, ესენი კრიალოსნები არაა. ესენი ჩვენი ძვირფასეულობაა.“ ელიფის დედამ დურუს გაოცება შენიშნა და უთხრა: „ამ კრიალოსნებს ელიფის ბაბუა ყიდის. ესენი კისერზე არ უნდა ჩამოიკიდო. ამათ იმისთვის ყიდულობენ, რომ ალლაპის მადლიერების ნიშნად „ელპამდულილლაპ“ თქვან, ალლაპის გახსენებისას ითვლიან. ყოველი თვალი ერთ მადლიერებას გამოხატავს.“

„არა დედა! ესენი ძვირფასეულობა! ჩემი ყელსაბამებია!“ -არ ნებდებოდა ელიფი.

დედამ კრიალოსნებს შორის ყველაზე დიდი, ათას თვლიანი კრიალოსანი აიღო. „რახან ესენი ყელსაბამია და ყელზე უნდა ჩამოიკიდო, აი ამას ვინ ჩამოიკიდებს?“ -ჰკითხა ელიფს.

ელიფმა ვერაფერი უპასუხა.

„ის, ვინც ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრ მადლიერებას წარმოთქვამს!“ -თქვა დურუმ სიცილით.

**“ღმერთო! შენდამი
განდიდებაში,
მადლიერებასა და
ღვთისმსახურებაში
დაგვეხმარე.”**

(იბნ ჰანბელი, 2, 299)



გემი

ესადი სკოლიდან რომ გამოვიდა, გემზე დაჯდა. მოხუცი კაცის გვერდით იჯდა. ამ დროს მოხუცმა კაცმა რაღაც თქვა.

ესადმა ვერ გაიგო.

„გისმენთ ბიძია, რამე მითხარით?“ -ჰერიტა.

მოხუცმა კაცმა თავი „არას“ ნიშნად გააქნია. თუმცა, თითქოს

ტუჩებით რაღაცის თქმას აგრძელებდა. ესადს მოხუცი კაცის

სიტყვები რომ გაეგო, ტუჩებს დააკვირდა. ეს მოხუცმა შეამჩნია და უთხრა: „ჰეი ჭკვიანო ბავშვო, შენ არაფერს გეუბნები. მხოლოდ ვედრებას წარმოვთქვამ.“

ესადი გაოცდა. „ბიძია, ახლა რას ევედრები? წყლის ხომ არ გეშინია?“

მოხუცს გაეცინა. „არა შვილო. ვედრებისთვის მიზეზია საჭირო? უზენაესი ალლაპი ბრძანებს ‘მორწმუნები ფეხზე დგომისას, ჯდომისას და გვერდზე დაწოლისას ალლაპს გაიხსენებენ’. ანუ ყოველ წამს... ალლაპისთვის შესავედრებლად განსაკუთრებული დრო არ არის საჭირო,“ -უთხრა.

ესადმა „გაგების“ ნიშნად, თავი დაუქნია. შემდეგ კი რაღაცები წაიჩურჩულა. მოხუცმა კაცმა ხელი ყურთან მიიტანა: „გისმენ, რამე მითხარი შვილო?“

„არა ბიძია, ვედრებას წარმოვთქვამდი,“
-უპასუხა ესადმა.

„მაშალლაპ, მაშალლაპ!“ -თქვა
მოხუცმა. ერთად გააგრძელეს
შევედრება. ამ დროს, მათ წინ
მჯდომი კაცი მათკენ წაინია:
„მე მითხარით რამე?“

ორივეს ერთად გაეცინა
და ‘უარყოფის’
ნიშნად თავები
გააქნიეს. კაცმა
ვერაფერი გაიგო.

”რომელნიც ალლაპს
ახსენებენ ფეხზე
მდგომარე, მჯდომარე თუ
მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა
და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ):
“ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ
(ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება
შენდა! დაგვიფარე ჩვენ
ცეცხლის სასჯელისგან”.
(ალი იმრანი 191)



და-ძმა

სენა და სინა ტყუპი დები იყვნენ. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ როცა ერთად თამაშს დაიწყებდნენ, თამაშის შუა პროცესში უეჭველად ჩხუბობდნენ. კიდევ ერთ დღეს, სახლობანას თამაშისას, ერთმანეთს შეუტიეს. დედამ მეტი ველარ მოითმინა.

„უკვე ყელში ამოვიდა თქვენი ჩხუბი. ანე ერთად აღარ იქნებით. ორივე სხვადასხვა ოთახში ითამაშებთ!“ -უთხრა. ორივე ცალ-ცალკე ოთახში გაუშვა. თავდაპირველად მარტო თამაში კარგი იყო, მაგრამ ცოტა ხანში ორივემ ძალიან მოიწყინა. სულ ცოტა ხანში, ორივე დედასთან მივიდა და უთხრეს, რომ შერიგდნენ და ერთად თამაში უნდოდათ.

„მარტო რომ ყოფილიყავით, მთელი დღე აი ასე მარტოს მოიწყენდით. რა კარგია, რომ ერთმანეთი გყავთ. ჰაზრეთი მუსა შევედრებისას, თავისი და-ძმისთვისაც ევედრებოდა: „ეი ალლაპ! შეგვიწყალე მე და ჩემი და-ძმა.“ და-ძმა ძალიან კარგი რამეა. აბა ახლა დებმა ერთად ითამაშეთ,“ -უთხრა დედამ.

დებს გაუხარდათ და თავიანთ ითახში შევიდნენ. ძალიან მაღე ყვირილის ხმა მოისმა ოთახიდან.

„ისევ ჩხუბობთ? განვაცალკევო ოთახები?“ -ჩაერია დედა.

დაშინებულმა დებმა ერთმანეთს გადახედეს.

„არა! ჩვენ არ ვჩხუბობთ!“ -უთხრა სინამ.

„დედიკო, ჩვენ მხოლოდ ჩხუბი გავითამაშეთ. ეს მხოლოდ თამაშია,“ -უთხრა სენამ.

„კარგი, რახან ასეა,“
-მიუგო დედამ, -„გთხოვთ,
ეს ჩხუბის თამაში ცოტა
ხმადაბლა ითამაშეთ!“

დედა რომ გავიდა, ღრმად ჩაისუნთქეს. სიხარულით გააგრძელეს თამაში.

„შეევედრა:
ღმერთო ჩემო!
მომიტევე მე და ჩემს
ძმას, და შეგვიყვანე შენს
ნყალობაში, რამეთუ
შენ მოწყალეთა შორის
უმოწყალესი ხარ!“

(ელრაფი 151)

မြန်မာစာတော်ဝါရီ
ပုဂ္ဂနိုင်မြို့မှူး
မြန်မာအနေဖြင့်

ချေမှတ်



მასლოვათი

ნაიმის სკოლაში ერთ-ერთი მწერალი მოეწვიათ სასაუბროდ. სტუმარი, საბავშვო წიგნების ავტორი, მომღიმარი, ახალგაზრდა კაცი იყო. ბავშვებს კითხვის სილამაზეზე, წერის დაწყების წამახალისებელ მიზეზებზე, ბავშვობაში წაკითხულ წიგნებზე ესაუბრა. ბოლოს კი, სიტყვა მის ბოლო წიგნზე, „ყოველ სახელზე თითო ვედრება“, ჩამოვარდა.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მწერალმა ამ წიგნში ყოველი ბავშვის სახელზე, სახელთან დაკავშირებული ვედრება დაწერა.

ბავშვები აღელვებული წევდნენ ხელს მაღლა და თავიანთ სახელზე ეკითხებოდნენ.

თავდაპირველად, ყველაზე წინ მჯდომმა, ელიფმა, ასწია ხელი. „სახელ ელიფთან დაკავშირებული ვედრება თუ არის?“

„როგორ შეიძლება, რომ არ იყოს? ალლაპმა ასო ელიფივით სწორი და გამართული გამყოფოს,“ -უთხრა მწერალმა.

„აამიინ!“ -წამოიყვირეს ბავშვებმა სიხარულით.

„კარგი, კარგი, ემირი არის?“ -გასძახა ორი რიგით უკან მჯდომმა ემირმა.

„რა თქმა უნდა. ალლაპმა მორნმუნეების წინამძღოლად, ანუ ლიდერად გაქციოს.“

ისევ ახმაურდა კლასი: „აამიინ!“

ნაიმი ადგილზე ვერ ჩერდებოდა. „და ნაააიმმმიი?“ -წამოიყვირა ყველაზე უკანა რიგიდან.

„ოოო, შენს სახელზე ვედრება მხოლოდ

ჩემს წიგნში კი არა, ყურ'ანი
ქერიმშიც კი არის.“

„ალლაპმა უხვ სამოთხეში

შემსვლელებიდან გამყოფოს!

ანუ სამოთხის საუკეთესო

ადგილას!“ -თქვა მწერალმა.

ისევ გაიცინეს ბავშვებმა და

წამოიყვირეს: „აამიინ!“

**“და დამადგინე
იმათთაგან,
რომელნიც ხვავ-
ბარაქიან სამოთხეებს
იმემკვიდრებენ!“**

(შუარა, 85)



International
Charity
Foundation

სახლი

იავუზის დედა მუშაობდა და ამიტომაც, მასზე ბებია ზრუნავდა. სიხარულით მიდიოდა ყოველ დილით ბებიასთან და დღეს ერთად ატარებდნენ.

დედამ იავუზს ხისგან დამზადებული სათამაშო ნაკრები უყიდა. ეს ნაკრები სხვადასხვა ფორმისა და ფერის ნაწილებისგან შედგებოდა. იავუზს არ ბეზრდებოდა ამ ნაწილებისგან სახლების, სკოლებისა და მანქანების აგება. ბებიამ სადილი გაზზე დადგა და მასთან ჩამოჯდა.

„აბა ახლა ცოტას მეც ვითამაშებ, დღეს ბევრი ვიმუშავე,“ -უთხრა. იავუზს ძალიან გაუხარდა. ხისგან დამზადებული ნაწილების ერთი ნაწილი მაშინვე ბებიას წინ დაალაგა. ორივემ მშენებლობა დაიწყო. იავუზმა რამდენიმე სართულიანი უცნაური ფორმა ააგო.

„ეს რა არის?“ -ჰკითხა ბებიამ.

„ჩემო ბებიკო, ეს სახლია,“ -მიუგო.

„ძალიან ლამაზი სახლი გამოსულა. ინშალლაჲ ალლაჲმა ამ ქვეყანაზეც ლამაზი სახლები მოგცეს და სამოთხეშიც ლამაზი სახლები გქონოდეს. შემოქმედმა ამ ქვეყანაზეც და შემდგომ სამყოფელშიც, მუდამ სიკეთე გვარგუნოს.“

ამ ვედრებამ იავუზი ძალიან გაახარა. „ჩემო ბებიკო, შენ რაღა ააგე?“ -ჰკითხა.

ბებიამ მის წინ არსებულ ფორმას შეხედა, რომელიც არაფერს ჰგავდა. „მეც კოსმოსური ხომალდი ავაგე,“ -უპასუხა.


იავუზს ძალიან მოეწონა.

„ალლაჲმა შენც ლამაზი კოსმოსური ხომალდები გიბოძოს ამ ქვეყანაზე ინშალლაჲ. სამოთხეშიც ლამაზი კოსმოსური ხომალდები მყოლოდეს,“ -უთხრა.

ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და იცინეს.

„ღმერთო ჩვენო!
მოგვეცი ჩვენ სიკეთე
ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც
და იმქვეყნიურშიც,
დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის
სასჯელისგან“

(ბაყარა, 201)



მისახლის გენერაცია
სა და განვითარება
სა და განვითარება
სა და განვითარება
სა და განვითარება

Digitized by srujanika@gmail.com

წვიმა

მუსტაფა დილიდან ელოდებოდა დედას მომზადებას, რომ
წასულიყვნენ.

„მიდი რა დედა, წავიდეთ უკვე,“ -კიდევ ერთხელ დაიწუნუნა.

„მოიცა, მოიცა. ეს სარეცხიც გავფინო და წავიდეთ,“ -უთხრა დედამ.
მუსტაფა მოიღუშა და ისევ პაზლს მიუჯდა. დედამ სარეცხი გაფინა.

„ალბათ უკვე წავალთ,“ -გაიფიქრა და სწორედ ამ დროს, მუსტაფას
ჭექა-ქუხილის ხმა მოესმა. ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. უცებ შეიცვალა
ამინდი. მაშინვე დაიწყო ხმაურიანი წვიმა. მუსტაფას ძალიან ეწყინა.

„დედა, ვერაფრით გავალნიეთ სახლიდან და ახლა წვიმაც დაემატა!“
-აბუზლუნდა.

„წვიმა? ეს ხომ შესანიშნავია!“ -უთხრა დედამ. ფანჯარასთან მიირბინა
და ფარდა აწია.

„აჱ, რა შესანიშნავად წვიმს. აბა გაიქეცი მუსტაფა. წვიმა ვედრების
დროს მოასწავებს. შეხედე, ეს წვიმის წვეთები ანგელოზებს ჩამოაქვთ.
ალლაჰის წყალობა წვიმს. ახლავე შევევედროთ. ანგელოზებმა კი ჩვენს
ვედრებაზე „აამიინ“ თქვან.“

დედამ ხელები გაშალა: „ჩემო ალლაჰი,
უხვი წვიმა გვიბოძე. წვიმა ძალად და
მხეობად გვარგუნე,“ -შევედრა.

შემდეგ მუსტაფამ გაშალა
ხელები: „ჩემო ალლაჰი, გთხოვ
დედაჩემმა სარეცხი, ჭურჭელი,
უთო და მსგავსი რამეები
აღარ მოიმიზეზოს და გარეთ
გავიდეთ,“ -თქვა.

ერთად იცინოდნენ და უცებ,
„აააა! გარეთ სარეცხი დამრჩა.
დასველდა!“ -გაიძახოდა დედა
ხმამაღლა და თან გარეთ გარბოდა.

„ღმერთო! შენ
ჩვენი გამჩენი ხარ.
შენს გარდა სხვა ღმერთი
არ არსებობს. შენ ყოვლად
მდიდარი ხარ, ჩვენ კი
უპოვარნი ვართ. მოგვივლინე
წვიმა და ამ წვიმით ძალა და
ღონიერება შეგვმატე“

(იხ. ებუ დავუდი,
ისთისკა, 2)



მათი სისტემები
უკანასკნელი დროის განმავლობაში

მარტინი და მარტინი და მარტინი და მარტინი

ველი!

Velis!

ველი!

ტალახი

სასახლე

რამდენი დღის განმავლობაში ძლიერი წვიმები იყო. დეიდა ჰანიფე საავადმყოფოდან მანქანით ბრუნდებოდა. დასახლებულ ქუჩაზე შესასვლელად უხვევდა და სწორედ ამ დროს, მანქანა ტალახში ჩავარდა. აშკარა იყო, რომ წვიმას მიწა წამოელო და გზის შუაში მოგროვებულიყო. დეიდა ჰანიფე რაც უფრო მეტს აწვებოდა გაზს, მით მეტად ეფლობოდა ტალახში.

„ოი ალლაჰ! ეს რა ამბავია! როგორ ამოვიყვან ახლა მანქანას?“ -დაიჩივლა. გაზს აწვებოდა და ბორბლები ადგილზე ბრუნავდნენ. ცოტა ხანი გაჩერდა, დაფიქრდა და ღრმად ჩაისუნთქა. „დამშვიდდი! დამშვიდდი!“ -უთხრა საკუთარ თავს. „ჩემო ალლაჰ, გასაჭირში ნუ მიმატოვებ!“ -ვედრება აღავლინა. ამ დროს, მოპირდაპირე ფაბრიკის ეზოში მომუშავე მუშებმა მიიპყრეს მისი ყურადღება. ყველას მაღალი, რეზინის ჩექმა ეცვა და ეზოს წყალგაყვანილობას აწესრიგებდნენ. დეიდა ჰანიფეს ძალიან გაუხარდა, ფანჯარა ჩამოწია და გასძახა: „ხომ ვერ დამეხმარებოდით? მანქანა ტალახში ჩამრჩა. ვერაფრით ამოვდივარ.“

რამდენიმე მუშა მასთან მივიდა. ცოტა წვალების შემდეგ მანქანა ტანახიდან ამოიყვანეს. დეიდა ჰანიფემ არ იცოდა, მაღლობა როგორ გადაეხადა.

„ძალიან დიდი მადლობა. მოიცათ! მოიცათ! რაღაცებს მოგცემთ,“ -უთხრა და ხელი ჩანთაში ჩაყო.

„დეიდა, არ არის საჭირო რაიმის მოცემა. ადამიანობა ხომ არ მომკვდარა? შენ ჩვენთვის შეევედრე და ეს საკმარისი იქნება,“ -უთხრეს ქარხნისკენ მიმავალმა მუშებმა. დეიდა ჰანიფემ ფანჯარა ასწია. ემოციებში ჩავარდა. „ჩემო ალლაჰ, ამ გამოუვალ მდგომარეობაში რომ დამეხმარნენ შენმა მიმდევრებმა, ნურასოდეს დატოვებ მათ შენი შემწეობის გარეშე. მათ დაეხმარე. ბოროტებისგან დაიცავი. ისინიც და ჩვენც შენზე მიმნდობებს შორის გვამყოფე. ამ ქვეყანაზეც და შემდგომ სამყოფელშიც გაგვიმარტივე ყოფა,“ -ვედრება აღავლინა. იმ დღის შემდეგ, ყოველ ჯერზე, როცა ვედრებას აღავლენდა, იმ მუშების მოხსენიებაც არ ავიწყდებოდა.

“ღმერთო
ჩვენ! გვქმენი
ჩვენ შენდა
მორჩილებად”

(ბაყარა, 128)

მისახლებენ
საცხოვოსავას
ზოგჯერ

მიავ!



ჭრა

ფუნდა, თავის ოჯახთან ერთად, რამდენიმე დღე ქალაქებარეთ იყო. სახლში შუა ღამით დაბრუნდნენ. ფუნდა ღამით რაღაც ხმამ გამოაღვიძა. ჩვილის ტირილის მსგავსი ხმა იყო. ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. ვერაფერი დაინახა. დიდი ხანი რომ გაგრძელდა ხმაური, დედის ოთახისკენ წავიდა. კარზე დააკაკუნა. გაოცებულმა დედამ გასძახა: „ფუნდა, რამე მოხდა?“

„დედიკო, მემგონი ჩვილი ტირის.“

დედამაც ყურადღებით მიაყურადა. მასაც მოესმა ხმა. „ინშალლაჲ მშვიდობაა,“ - თქვა.

შემოსასვლელი კარისკენ გასწიეს ერთად. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, ხმა მატულობდა. დედამ კიდევ უფრო ყურადღებით მოუსმინა. „ეს ჩვილის ხმა არაა, კატა ტირის. სარდაფში არ იყოს კატა ჩარჩენილი,“ - თქვა.

დაინტერესებულებმა სარდაფის კარები გამოაღეს. პანია კატა დახვდათ. ისინი რომ დაინახა, შეკრთა და გაიქცა.

„ოოო ძვირფასო, შენ აქ როგორ მოხვდი? ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩენილხარ,“ - უთხრა დედამ.

კატა შიმშილისგან განუწყვეტლივ კნავოდა. მაშინვე მოუტანეს სამზარეულოდან რძე და წინ დაუდეს. კანკალით მივიდა თასთან კატა. ისე ძლიერ მოშიებოდა, რომ პანანინა ენით მაშინვე შეხვრიპა რძე. შემდეგ კი ისე შეხედა ფუნდას, თითქოს ეუბნებოდა:

‘დამიმატებ?’ „ვაი საყვარელო კატავ.“

რამდენად მოგშვებია. ალლაჲმა არავინ დატოვოს მშიერი. ფუნდა, შვილო,

გაიქცი და ახლავე მოიტანე კიდევ ცოტა რძე. საბრალო შიმშილისგან კვდებოდა,“ - უთხრა დედამ.

ფუნდა გაიქცა სამზარეულოში. აღელვებული პატარა კატა რძის მოტანას ელოდებოდა.

“ღმერთო,

დამიფარე

შიმშილისგან, რადგან

შიმშილი ძალიან ცუდი

მეგობარია. ასევე დამიფარე


ღალატისგან, რადგან

ღალატიც ძალიან ცუდი

მეგობარია!“.

(ებუ დავუდი,

“ვითო” 32)



Ozgechi.com
International Charity Foundation

მოხუცი

ჯემი, ოჯახთან ერთად, სოფელში ნათესავებს ესტუმრნენ. სახლის მეპატრონეს ჯემის ასაკის ვაჟი ჰყავდა, სახელად ფირათი. ორმა მეგობარმა ერთად ახლომახლო ხეტიალი დაიწყო.

„ესენი თხილის ხეებია. ზაფხულობით თხილს ვკრეფთ ხოლმე,“ -უთხრა ფირათმა. ხეებს ათვალიერებდნენ და სეირნობდნენ, როცა ჯემმა შემხვედრ მოხუცს მიაპყრო თვალები. ყველანაირად აშკარა იყო, რომ ეს კაცი ძალიან მოხუცი იყო, ზურგზე კი უზარმაზარი, თხილით სავსე გოდორი მოეკიდა და ნელ-ნელა აღმართს მიუყვებოდა.

„ბაბუა, საქმე შეგმსუბუქებოდეს,“ -უთხრა ფირათმა, გვერდით რომ ჩაუარა. „შვილო, თუ ასე მსუბუქი საქმეა, შენ თვითონ გააკეთე,“ -სიცილით მიუგო მოხუცმა.

მოხუცი კაცი რომ წავიდა, აღელვებული ჯემი ფირათს მიუბრუნდა:

„ერთი ამას უყურე! სუპერმენივით ბაბუა. ამ სიმძიმეს როგორ ეზიდება?“ ფირათს გაეცინა. „სწორად გამოიცანი. ჩვენც სუპერ ბაბუას ვეძახით. ჩემი მეგობრის მამის ბაბუაა. არავინ იცის, ზუსტად რამდენი წლისაა.“

„უცნაურია, როგორაა ასე ძლიერი!“ -თქვა ჯემმა.

„როგორც ამბობენ, ეს ბაბუა პატარაობიდან

ვედრებას აღავლენდა. თურმა

ეველრებოდა: ‘ჩემო ალლაპო, მხნე სხეული და ჯანმრთელი თვალი მომეცი და ბოლო ამოსუნთქვამდე ჯანმრთელად მამყოფე.’ როგორც ჩანს, ვედრება აუსრულდა.“

ჯემს გაუხარდა, სუპერმანობის საიდუმლო რომ გაიგო.

მაშინვე გაიმეორა გულში:

‘ჩემო ალლაპო, მხნე სხეული და ჯანმრთელი თვალი მომეცი და ბოლო ამოსუნთქვამდე ჯანმრთელად მამყოფე.’

”ღმერთო!

მომმადლე

ჯანმრთელობა. მომმადლე

თვალების სიჯანსაღე.

ჯანმრთელობა ჩემი არსებობის

თანმდევად დაადგინე. შენ ხარ

ყოვლად მოწყალე და მწყალობელი.

შენ ხარ სამყაროს ბატონ-პატრონი.

შენ ყოველგვარი ნაკლოვანებისგან

შორს ხარ. მხოლოდ შენ ხარ

ლირსი ყოვლადქებისა და

განდიდებისა!“ (თირმიზი,



მისამართი გეორგია
და გვერდის მიმდევა

40 ვერა ქავე

International Children's Library Georgia

ჯანმრთელობა

სელინი ძალიან ავად იყო. სამი დღე სკოლაში ვერ წავიდა.

„ნეტავ დღეს სკოლაში წასვლა შემძლებოდა. ესრას დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა,“ -თქვა მოწყენილმა.

„რა ვქნათ ჩემო ლამაზო, ჩვენს ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ხომ არაა,“ -უთხრა დედამ. სელინმა ძალიან მოიწყინა. დედამ წამლები მოუტანა.

„აბა, წამლების დალევამდე რას ვამბობდით?“ -ჰეითხა დედამ.

„ჩემო ალლაპო, ჯანმრთელობას მხოლოდ შენ გვიძლვინი. შენს ყველა მიმდევარსაც და მეც ჯანმრთელობა მოგვეცი,“ -შეევედრა სელინი. წამალი დალია. ცოტა ხანში დედამ მცენარეული ჩაი მოუტანა.

„კარგი რა დედა, ისევ ჩაი უნდა დავლიო? ჩაითა და წამლით ვარ სავსე.“

„რა ვქნათ ძვირფასო? არავინ იცის, სადაა ჯანმრთელობა დამალული.

ექიმის გამოწერილი წამლები, წიგნში მითითებული სამკურნალო მცენარეები, ბებიასა და ბაბუას რჩევები უნდა გავითვალისწინოთ.“

ამ დროს კარის ზარმა დარეკა. სელინმა ინტერესით გახედა კარს. მისი მეგობარი, ესრა მოვიდა. სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

„მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ. დღეს რომ არ მოხვედი, შენი წილი ტორტი მე მოგიტანე,“ -უთხრა ესრამ.

შეფუთვა გახსნა. ერთი ნაჭერი ტორტი იყო.

სელინს ძალიან გაუხარდა. გემრიელად მიირთვა ტორტი. მეგობართან ცოტა ხნის საუბრისა და სიცილის შემდეგ, თავი უკეთ იგრძნო. საღამოსაკნ უკვე საწოლიდანაც წამოდგა.

„როგორც ჩანს, შენი განკურნება


არც წამალში და არც ჩაიში

ყოფილა, შენს მეგობარში ყოფილა

დამალული,“ -სიცილით უთხრა დედამ.

„ეჱ! ნეტავ აქამდე მოსულიყო,“
-ლიმილით თქვა სელინმა.

„ადამიანთა
გამჩენო! დაასრულე
ეს გასაცდელი და შვება
მოგვიარე. მხოლოდ შენ ხარ
შვებისმომგვრელი. ვერავინ
მოგვგვრის ისეთ შვებას,
რომელსაც შენ მოგვგვრი.
ისეთი შვება იყოს, რომ
ავადმყოფობისგან აღარაფერი
დარჩეს“. (იხ. ბუჟარი,
"თიბ" 37)



მისახლებენ
პატივების დროს
#Oვერამებული



ქართველობის ენციკლოპედია

ფათიში ბიძიას სახლში, კედელზე დაკიდულ, ლამაზად მორთულ,
ასობგერების ცხრილს უყურებდა.

„ბიძია, აქ რა წერია?“ - ჰკითხა.

„ესენი ალლაპის ლამაზი სახელებია,“ - უპასუხა ბიძამ.

„ამას შეხედე! ალლაპის ამდენი სახელი აქვს?“

„დიახ. აი მაგალითად, მისი ერთ-ერთი სახელია გაფფარ. ეს ცოდვების
მიმტევებელს ნიშნავს. ცოდვების მიტევებას როცა ვევედრებით, შეგვიძლია
ეს სახელი გამოვიყენოთ. აი ამას შეხედე. აქ რეზზაქი წერია. სიუხვის
მბოძებელს ნიშნავს. ამ ქვეყანაზე და შემდგომ სამყოფელში კარგი საჭმლის
შევედრებისას შეგვიძლია ამ სახელის გამოყენება,“ - უთხრა
ბიძამ.

„ყველაფრისთვის არსებობს ასეთი სახელები?“

- ჰეეკითხა დაინტერესებულმა ფათიშმა.

„დიახ. ვფიქრობ, ყველა ვედრებისთვის შეგვიძლია
სახელის პოვნა,“ - უპასუხა ბიძამ.

ფათიშს გაეღიმა.

„კარგი. გამოცდებში მაღალი ქულის ასაღებად რომ
ვევედრებით, რომელი სახელის გამოყენება შეგვიძლია?“
ბიძამ გაიცინა.


„გამოცდებზე მაღალი ქულის ასაღებად, პირველ რიგში, უნდა იმეცადინო.

შემდეგ კი...“ - თქვა, ცხრილს შეხედა და დაფიქრდა. სასურველი სახელი
რომ იპოვა, გაიღიმა.

„სახელი მუჯიბი შეგვიძლია გამოიყენო. ვედრებების
ამსრულებელს ნიშნავს. კარგი შეფასების
მისაღებად, ჯერ იმეცადინებ, შემდეგ კი
ვედრებას აღავლენ, რომ წარმატების მიღწევა
გინდა. ‘ჩემო ალლაპო, შენგან ვითხოვთ
დახმარებას. შენ შეისმენ ვედრებებს. შენი
სახელის, მუჯიბის, მაღლით შეისმინე ჩემი
ვედრება,‘ -იტყვი. აბა როგორია?“ „შესანიშნავი
იდეა,“ - უპასუხა ფათიშმა და რომ არ
დაევიწყებინა, სახელი მუჯიბი ხელზე დაიწერა.



„ღმერთო,
მხოლოდ შენ
ხარ შემწე. ბოლოს
მაინც შენს წინაშე
წარვსდგებით. ღვთის
შეწევნის გარეშე,
შეუძლებელია, ვინმემ
რაიმე ძლიერებას
მიაღწიოს.“ (თირმიზი,
“დევათ” 88)



მისახლებენ
პრეზენტორები
და გენერალური
ელექტრო

muslim
charity
foundation

ტკბილეულის გამცემი ბაბუა

იავუზი, ზაფხულის არდადეგებზე, ბიძასშვილთან, არდასთან, დასარჩენად ჩამოსულიყო. პირველ დღეს, არდას მეგობრებთან ერთად, ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ. ამ დროს, ვიღაც ბავშვმა დაიძახა:

„მოირბინეთ! ტკბილეულის გამცემი ბაბუა მოდის!“

ყველა ბავშვი გზისკენ გაიქცა.

„წამოდი იავუზ! იჩქარე! ბოლო დარჩენილი, ვარდება,“ - უთხრა არდამ.

„კი მაგრამ საით მივდივართ?“ - ჰკითხა იავუზმა.

„ტკბილეულის გამცემი ბაბუა მოდის. ალბათ მეჩეთისკენ მიდის.“

იავუზმა ვერაფერი გაიგო. ბავშვებს გაჰყვა.

ბავშვები გზაზე მიმავალი, მოხუცი კაცის ირგვლივ შეიკრიბნენ.

„დღევანდელი ვედრება რომელია?“ - ჰკითხა ერთ-ერთმა ბავშვმა.

ტკბილეულის გამყიდველ ბაბუას გაეცინა. „დღეს ვიტყვით: ჩემო ალლაჰი, მე, ჩემს მეგობრებს და ტკბილეულის გამცემ ბაბუას საუკეთესო საქმე და ზნეობა გვიბოძე. ცუდი საქმეებისგან და ზნეობისგან შორს გვამყოფე.“

სათითაოდ ყოველმა ბავშვმა გაიმეორა ეს ვედრება. ტკბილეულის გამცემი ბაბუა ყოველი ვედრების შემდეგ „აამინ“ ამბობდა, ჯიბიდან ფერად კანფეტებს, თხილებსა და მინისთხილებს ილებდა და ბავშვებს ურიგებდა.

იავუზმაც წარმოთქვა ვედრება და კანფეტი და თხილეული ერგო.

„აბა, თუ არავინ დარჩენილა ტკბილეულის გარეშე, მგზავრმა გზა უნდა გააგრძელოს. სამხრობისას ისევ შევხვდებით,“ - თქვა ტკბილეულის გამცემმა ბაბუამ.

ბაბუა რომ წავიდა, იავუზი ბავშვებთან ერთად ეზოსკენ მირბოდა და არდას ჰკითხა: „ეს ბაბუა სულ ასეთ რამეებს არიგებს?“

„დიახ. ყოველი ლოცვის დროს ამ გზაზე ჩაივლის. მას, ვინც ვედრებას წარმოთქვამს, კანფეტს, თხილს, მინისთხილს, შოკოლადს, ბუშტს, სასტვენს... ურიგებს ყოველთვის,“ - უპასუხა არდამ. იავუზს სიხარულისგან გაეღიმა. როგორც ჩანს, იმაზე კარგად ჩაივლიდა საზაფხულო არდადეგები, ვიდრე ეგონა.

”ღმერთო,

მომმადლე

საუკეთესო საქმე და
საუკეთესო ზნეობა, რადგან
მხოლოდ შენ შეგიძლია
ყველაფერ საუკეთესოს
მიგვაღწევინო. დამიფარე ავი
საქმისა და ავი ზნისაგან.
მხოლოდ შენ შეგიძლია
მათგან დამიფარო“.

(ნესაი, „იფთითაჲ“ 16)



მისახლებენ
და გვეკვირთებენ
40 ვერა ქავე

Georgia International Charitable Foundation

სასაჩიგე ბლო

ჰათიჯეს წინ, მაგიდაზე, რვეული დაედო და მეცადინეობდა.

მოშორებით მჯდომ ბაბუას მიმართა, რომელიც გაზეთს კითხულობდა:

„ბაბუა, ჩემთვის შეევედრე, რომ კარგ სკოლაში ჩავაბარო.“

„რაც უფრო სასარგებლოა, ის ყოფილიყოს,“ -უთხრა ბაბუამ.

„სკოლა თან კარგი იყოს, თან სახლთან ახლოს იყოს.“

„რაც უფრო სასარგებლოა, ის ყოფილიყოს,“ -გაიმეორა ბაბუამ.

„სკოლა თან კარგი იყოს, თან სახლთან ახლოს იყოს და ჩემმა საუკეთესო მეგობარმაც იქ ჩააბაროს.“

„რაც უფრო სასარგებლოა, ის ყოფილიყოს აბა.“

ჰათიჯემ თვალები გადაატრიალა:

„ბაბუა, რასაც ვიტყვი, ყველაფერზე რაც სასარგებლოა ის იყოსო ამბობ. ჩემს ვედრებაზე ერთი ‘ამინი’-აც კი არ გითქვამს. გრცხვენოდეს!“
ბაბუას გაეცინა.

„საიდან იცი, რომ რაც შეევედრე, შენთვის კარგი იქნება? ხომ შეიძლება, რომ სახლისგან მოშორებულ, ნაკლებად ლამაზ სკოლაში თუ მოხვდები, შენი მეგობრები თუ ვერ ჩააბარებენ იქ, უფრო ბედნიერი იყო. საიდან იცი და ჯიუტად დგახარ შენს აზრზე? შენი საქმე ალლაპს მიანდე. რაც უფრო სასარგებლოა, ის ყოფილიყოს. რომელიც უფრო სასარგებლო იქნება შენთვის, ის ყოფილიყოს.“

ჰათიჯე დაფიქრდა. ბაბუა მართალი იყო.

„თუ მასეა, ასე შევევედროთ: სკოლა რომელშიც მოვხვდები, თან კარგი იყოს, თან სახლთან ახლოს იყოს, ჩემმა მეგობრებმაც იქ ჩააბარონ და თან ეს სკოლა ყოფილიყოს ჩვენთვის ყველაზე სასარგებლო,“ -თქვა სიცილით.

„რაც უფრო სასარგებლოა, ის ყოფილიყოს,“ -უთხრა ბაბუამ.

„ღმერთო!

ყველაფერი, რასაც გევედრები, სასიკეთო მომმადლე; სასიკეთო ვედრება, სასიკეთო ცხონება, სასიკეთო საქმეები, სასიკეთო ცხოვრება და სასიკეთო სიკედლი მიწყალობე“. (იხ. ჰაქიმი, „დეავათ“

ნო. 1911)



თქმის განახლების დროს ვინაული გადასცემი გადასცემის დროს თქმის განახლები

შუქრანის ჩვეულება

შუქრანი, დედასთან ერთად, მოხუცი დეიდას მოსანახულებლად წავიდა. დედა და დეიდა ჰაირიე რომ საუბრობდნენ, შუქრანმა ტახტზე პატარა რვეული დაინახა. აშკარა იყო, რომ ძალიან ძველი იყო. გვერდები გახუნებულიყო. ყოველ გვერდზე ათობით სახელი ეწერა: „დაიკო აიშე, მეზობელი, დეიდა ფატმას შვილი შეჰრიბანი, გაზებში მომუშავე, ბატონი მუსტაფა, ჰაირიე (შვილი), ჰაირიე (რძალი), ბიძია ფაჰრი...“

„ეს რა არის?“ -ჰემითხა დეიდა ჰაირიეს.

„ჩემო გოგონა, ეგ ჩემი ვედრებების რვეულია. ჩემთვის საყვარელ ადამიანებისთვის და მათთვის, ვინც ვედრებაში მოხსენიება მთხოვა, ყოველი ლოცვის შემდეგ ვევედრები. სახელები რომ არ დამევინყებინა, ჩამოვწერე.“

„უი, რა კარგია. დეიდა, არც ჩვენ დაგავინყდეთ ვედრებებში,“ -უთხრა შუქრანის დედამ.

დეიდამ ხელში კალამი მოიმარჯვა. რვეულში ჩაწერა: „შერიფე და მისი შვილი შუქრანი.“

სახლში წასვლისას, დეიდა ჰაირიემ შუქრანს აკოცა და უთხრა:

„შენ უცოდველი ხარ. შენი ვედრებები მყისვე შეისმინება. ჩემთვისაც შევედრე, კარგი? შევედრებისას, გულუხვი უნდა იყო. რაც უფრო მეტი ვედრება იქნება მიღებული. ადამიანის სიყვარული შევედრებიდან ხდება ნათელი. არასოდეს დაგავინყდეს, საყვარელი ადამიანის ვედრებებში მოხსენიება.“

შუქრანმა თავი გააქნია.

საღამოს, დაძინებამდე,

ჩანთიდან ბლოკნოტი ამოილო

და იმ ადამიანების სახელების

ჩამოწერა დაიწყო, ვინც

ვედრებებში უნდა მოეხსენიებინა:

„დედა, მამა, ბაბუა 1, ბაბუა 2, ბებია

1, ბებია 2, ბიძია შერიფი, ბიცოლა

ზეჰრა, დეიდა ჰაირიე.“

„ღმერთო ჩვენო!

მომიტევე მე,

ჩემს მშობლებს და

მორწმუნებს იმ

დღეს, როცა შედგება

ანგარიშგება!“

(იბრაჰიმი, 41)



GEORGIA
International
muslim

მასწავლებელი

მასწავლებელი ნევინი ქართული ენის გაკვეთილზე მეტაფორებს (გადატანითი მნიშვნელობის სიტყვებს) ხსნიდა.

„სიტყვებს, რომლებსაც მსგავსების ან მნიშვნელობის გამო, მისი რეალური დანიშნულების გარდა ვიყენებთ, ‘მეტაფორა’ ეწოდება.“

ამ დროს, შეამჩნია, რომ უკანა მერხებზე მსხომი ენგინი და ქერემი საუბრობდნენ.

„ენგინ, მეტაფორის ერთ მაგალითს დაგვისახელებ?“ - ჰქითხა.

აღელვებული ენგინი ადგილიდან წამოხტა. მასწავლებელს არ უსმენდა.

არ იცოდა, რა ეთქვა. ამ დროს ქერემმა წაუჩურჩულა: „ორგული“. ენგინმა ხმადაბლა უთხრა: „ეგ შენ ხარ!“. ერთმანეთში ჩურჩულმა ქალბატონი ნევინი ძალიან გააპრაზა.

„ბავშვებო, რა განუხებთ? არ იფიქროთ, რომ ვერ ვამჩნევ. გაკვეთილის დაწყების შემდეგ ერთმანეთში საუბრობთ. ხმამაღლა თქვით და ჩვენც გავიგებთ რა ხდება.“

„მასწავლებელო, ქერემმა ორგული მიწოდა,“ - უპასუხა ენგინმა. „მასწავლებელო, მე მისთვის ორგული არ მიწოდებია. მე თქვენ გამო ვთქვი,“ - განმარტა გაოცებულმა ქერემმა თავის დასაცავად. მთელმა კლასმა ხმამაღლა გაიცინა. მასწავლებელმა კიდევ უფრო შეკრა შუბლი. დაბნეული ქერემი ისევ ალაპარაკდა: „მასწავლებელო, მე არც თქვენზე მიწოდებია ორგული. თქვენ ხომ მეტაფორის მაგალითი ითხოვეთ. ამის გამო ვთქვი.“ მასწავლებელმა ნევინმაც ვეღარ მოითმინა და გაიცინა.

„როგორ შეცდუნდით. დიახ, მეტაფორისთვის ორგული კარგი მაგალითია. ადამიანს, ვინც ერთ ამბობს და სხვას აკეთებს, ვინც თვალთმაქცობს, ორგული ეწოდება.

ორგულობა ძალიან ცუდი რამაა. ალლაჲმა ორგულობისგან შორს გვამყოფოს.“

„აამინ. მასწავლებელო, მართალი ხართ,“ - უთხრა ქერემმა. საკუთარი შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა.

“ღმერთო!
დამიუბარე
არ დავშორდე
(ჭეშმარიტებას) **და არ ვიყო**
ორპირი. დამიუბარე
ავზნიანობისგან”.

(იხ. ებუ დავუდი, „ვითო“ 32)



მათი სამართლები
საქართველოს და სამხრეთ კავკასიის
40 ველობები

muslim
international charity foundation

სისწრაფე

აზელი

ფირათი თავის ველოსიპედზე იჯდა მოუთმენლად ელოდებოდა.
გამუდმებით საათს უყურებდა.

„გულსუუმ, ბებიაა! ცოტა იჩქარეთ!“ -დაიყვირა.

„შემაღონე შვილო. ეს რა სისწრაფეა! ვერ გამიგია, პიკნიკზე
მივდივართ თუ შეჯიბრზე.“

ბებიამ გამზადებული პიკნიკის კალათი გულსუმს ჩამოჰკიდა
მკლავზე. გულსუმი სირბილით წავიდა ველოსიპედისკენ. უფროსი ძმის
მომარჯვებულ ველოსიპედზე ჯდებოდა, როცა ფირათმა სწრაფად
გადაატრიალა პედალი. გულსუმმა ვერ მოასწრო იმის გაგება, თუ რა
ხდებოდა და ზღართანი მოადინა ძირს. კალათში ჩალაგებული ყველაფერი
ძირს მიმოიფანტა. მომხდარის გასაგებად უკან მობრუნებულმა
ფირათმა წონასწორობა დაკარგა. ერთ მხარეს თვითონ, მეორე მხარეს კი
ველოსიპედი დაეცა. ბებიამ შეჰქივლა და მათთან მიირბინა. ფირათი ძლივს
წამოდგა ადგილიდან.

„ყველაფერი შენი ბრალია. ვერაფრით დაჯექი ველოსიპედზე,“ -გულსუმს
გაუბრაზდა. გულსუმი ტიროდა.

„გაჩუმდი! შენს დას ნუ უყვირი!“ -უთხრა ბებიამ ფირათს, „აჩქარებულ
საქმეში ეშმაკი ჩაერევა. აი ხომ ხედავ, შენსაშიც ჩაერია. ასე ჩხუბითა და
კინკლაობით შეიძლება პიკნიკზე წასვლა? ისხედით თქვენს ადგილას!“

გულსუმს მუხლზე ერთჯერადი ლეიკო დააკრა. პიკნიკი გაუქმდა და
ყველამ მოიწყინა. ფირათი და გულსუმი დავალებებს მიუბრუნდნენ.

მოგვიანებით ბებიას ხმა მოისმა.

„აბა, აქ მოდით! ეზოში პიკნიკი გავაკეთოთ!“

ფანჯრიდან ეზოში გაიხედეს და დაინახეს,
რომ ძალიან ლამაზი სუფრა ელოდათ.

აღელვებულები გარეთ გაცვიდნენ.

ფირათი ცერებზე აბიჯებდა და ნელ-ნელა
მოდიოდა. „შვილო, რომ დაეცი, ფეხზე რამე
დაგემართა?“ -შეეკითხა გაოცებულმა ბებიამ.

„არა ბებია. მეშინია, რომ ისევ ავჩქარდები და
ყველაფერს გავაფუჭებ,“ -უპასუხა ფირათმა.
ერთად გაიცინეს და სუფრას მიუსხდნენ.

”ლმერთო!
მომიტევე ყველა
შეცოდებანი, რაც
განზრახ, უმეცრებით
ან უნებლიერ ჩამიდენია.
ყველა ეს შეცოდებანი
ჩემში არსებობს“.«

(იხ. მუსლიმ, "დუა" 70)

ମାନୁଷଙ୍କ ଜୀବିତ
ଦେଖିବାରେ
ପାଇଁ ଆମରିବାରେ



ბოჭი ში

დედამ კარი რომ შეაღო, იასემინს თვალები გადაწითლებული ჰქონდა. აშკარა იყო, რომ ტიროდა.

„შვილო, რა მოხდა? მშვიდობაა?“ -ჰკითხა დედამ.

„ებრუსთან აღარასოდეს წავალ! ნახე, ჩემი წიგნი რას დაამსგავსა!“
-უთხრა და დაჩხაპნილ გვერდებიანი წიგნი უჩვენა.

როგორც მან თქვა, საშინაო დავალების წერისას, იასემინმა შეცდომით გახაზა ებრუს წიგნი. იასემინმა რამდენჯერმე უთხრა, რომ შეცდომით მოუვიდა და ბოდიში მოუხადა, თუმცა ებრუმ მაინც დაჩხაპნა მისი წიგნი. ორმა მეგობარმა იჩხუბა და ერთმანეთს დაშორდნენ. რამდენიმე საათში კარზე ზარი დარეკეს. ებრუ მოვიდა. როგორც ჩანს, ბოდიშის მოსახდელად მოვიდა.

დედამ იასემინს დაუძახა, რომ კართან მისულიყო. იასემინი კი ჯიუტად იდგა თავის აზრზე და ოთახიდან გამოსვლა არ უნდოდა. „მისი დანახვა აღარ მინდა!“
-გაჰყენიროდა.

დედა იასემინის ოთახში შევიდა. იასემინი ისევ გამწარებული ტიროდა. „მისი დანახვა აღარ მინდა. არ მოვიდეს ჩვენს სახლში!“

„ჩემო ლამაზო გოგონა,“ -მიუგო დედამ იასემინს და თმებზე მოეფერა, -„შენმა მეგობარმა გააცნობიერა, რომ შეცდომა დაუშვა. ბოდიშის მოსახდელად მოვიდა.“

„მისი საქციელის შემდეგ ბოდიშს ნულარ იხდის!“

„ასე ნუ იტყვი. ბოდიშის მოხდის უნარი დიდი სიმამაცეა. ჩვენი შუამავალი ასე ევედრებოდა: ‘ჩემო ალლაპო, იმ მიმდევართაგან მამყოფე, რომლებიც შეცდომის დაშვებისას პატიებას ითხოვენ.’ ადამიანი ანგელოზი

არაა. რა თქმა უნდა შეცდომას დაუშვებს. მთავარი შეცდომის გაცნობიერება, ამ შეცდომაზე სწავლა და ბოდიშის მოხდაა. ახლა თუ მეგობარს აპატიებ, შემდეგში ასე აღარ მოიქცევა. თუ არ აპატიებ, მეგობარი არ გეყოლება, რომელთან ერთადაც სასიამოვნო დროს გაატარებ.“

იასემინმა დედის სიტყვებზე იფიქრა. მართალი იყო. ცრემლები მოიწმინდა და შმუტუნით გაეშურა შემოსასვლელი კარისკენ.

„ღმერთო! იმ
მსახურთა შორის
მამყოფე, რომლებიც
სიკეთის კეთებისას
ხარობენ, ხოლო ცოდვის
ჩადენისას ნანობენ და
მიტევებას ითხოვენ“. (იხ.
იან მაჯე, „ედებ“ 57)



მისამართი
საქართველო
მუსლინის დოკუმენტი

40 ვერა გამარჯვება

muslim international charity foundation georgia

muslim

international charity foundation

georgia

თოვლი

ემრე ძალიან აღელვებული იყო. ოჯახთან ერთად მთაზე თხილამურებით სასრიალოდ მიდიოდა. გზაში ქარბუქი იყო. მამამისს გზის დანახვა უჭირდა.

„რა ბედი გვაქვს, დაგვიღამდა კიდეც,“ -თქვა მამამ, - „საუკეთესო გამოსავალი რაიმე ადგილის ნახვა და ამ ლამით დარჩენაა. დილით კი გზას გავაგრძელებთ.“

გზად შემხვედრ პირველივე ჰოსტელთან შეჩერდნენ. ემრემ ძალიან მოიწყინა.

„დედიკო, დილით ქარბუქი რომ არ შეწყდეს, რა მოხდება? მე ძალიან მინდა თხილამურებით სრიალი. ისედაც ერთი დღით მივდივართ. ძალიან მეწყინება ისე დავბრუნდეთ, რომ თხილამურებზე არ ვისრიალოთ.“

„შვილო, ეს ბედის საქმეა. რაც უფრო სასარგებლოა, ის ყოფილიყოს,“ -უთხრა დედამ.

თუმცა ემრე ვერაფრით ისვენებდა. გამუდმებით მეორე დღესთან დაკავშირებულ კითხვებს სვამდა. რომ ვერ წავიდნენ, რომ წავიდნენ, მაგრამ თხილამურებზე ვერ ისრიალონ, მანქანა რომ გაფუჭდეს გზაში...

„ჩვენზე დაკისრებულის გაკეთების შემდეგ, დარჩენილი ალლაპს უნდა მივანდოთ,“ -უთხრა დედამ, - „ასე ალლაპზე გადაბარება ადამიანს ამშვიდებს. დამშვიდდი, დაიძინე და დილით ვიფიქროთ.“

ემრემ მაინც ვერ დაიძინა ლამით. გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, მეორე დღეს რა მოხდებოდა. დილამდე იწრიალა საწოლში. მეორე დღეს უღრუბლო დილა

გაუთენდათ. ქარბუქი შეწყდა. მალევე მიაღწიეს მთას. იმ დღეს, ემრეს გარდა, ყველამ შეირგო თხილამურებით სრიალი.

ემრემ მთელი ლამე რომ ვერ იძინა,

ნახევარი დღეს სასტუმროში,

თავის ოთახში ძილში გაატარა.

დარჩენილი ნახევარი დღე კი

შეუმჩნევლად გაიპარა.

„ღმერთო! მომმადლე გული შენდამი მონდობილი, მართალი სიტყვა და საუკეთესო ზნეობა“.

(იხ. ჰაქიმი, „დევათ“ 1872)



მისამართის
გერბი
მუზეუმის გერბი

40 ვალებები

© 2011
interfaith charity foundation
muslim georgia

გასაღი ბი

ეპიზოდი

ასაფი შემოსასვლელ კართან იდგა, თან იძახდა: „ჩქარა დედა! ჩქარა, ჩქარა, ჩქარააა“ და თან რიტმულად ურტყამდა კარს ფეხს.

„კარგი, კარგი! გასაღებს ვეძებ. ცოტა მოითმინე!“ -უთხრა დედამ, ქალბატონმა ჰაბიბემ.

ნახევარი საათი გარეთ გასვლას ცდილობდნენ. ქალბატონმა ჰაბიბემ ჯერ ბავშვებს ჩაიცვა, შემდეგ თვითონ ჩაიცვა, სახლი მიალაგა, წასაღები ნივთები გაამზადა. ყველაფერს მორჩა, მაგრამ იმის გამო, რომ გასაღებს ვერ პოულობდა, ვერ მიდიოდნენ.

„აფიფე! ფეხსაცმლით სახლში რატომ შემოდიხარ?“ -მიმართა თავის გოგონას, რომელიც ფეხსაცმლით ხალიჩაზე იდგა.

„იმიტომ რომ საპირფარეშოში მინდა!“

დედამ საპირფარეშოში წაიყვანა. ისევ ჩაიცვა ფეხსაცმელი და კართან დააყენა.

„აბა წავედით,“ -კიდევ ერთხელ თქვა ასაფმა.

„შვილო, კარზე ნუ ურტყამ, მოიცადე. გასაღებს ვეძებ,“ -უთხრა დედამ.

ქალბატონი ჰაბიბე ხან ერთ მხარეს გარბოდა, ხან მეორე მხარეს გამორბოდა. გაოფლიანდა. ერთი წამით გაჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა და თქვა: „ჩემო ალლაპო! შენ იცი ხმელეთზეც და დედამინაზეც მალულიცა და აშკარაც. რა მოხდება, დამეხმარე ამ გასაღების პოვნაში.“

ამ დროს კი ასაფმა კიდევ ერთხელ დაიყვირა:

„ჩქარააა დედაა!“ -და კიდევ ერთხელ

მიერტყა კარს ფეხი. კარის მხრიდან

განკარუნების ხმა მოისმა. დედას

უნდა ეთქვა: „აი ხედავ, ბოლოს

მაინც გატეხე კარი!“ -როცა

კარიდან ჩამოვარდნილი გასაღები

შეამჩნია. გაახსენდა, რომ არ

დაეკარგა, კარს უკანა მხარეს

მოარგო.

„ნეტავ ადრევე შევვედრებოდი,“ -თქვა

და წუნუნით გავიდა კარიდან.

„ღმერთო ჩვენო! უაჭველად, უნყი შენ, რას ვმალავთ და რას ვაცხადებთ. ალლაპისგან არაფერია დაფარული არც ცათა შინა, არც ქვეყანასა ზედა“. (იბრაჰიმი, 38)



მისამართი
საქართველო
თბილისი

40 ველი

MUSLIM
international
charity
foundation

მგზავრობა

ნების

ალი, ოჯახთან ერთად, ღამით ქალაქებს შორის მგზავრობდა. ალის რაღაც დროის მონაკვეთში ჩაეძინა. მგზავრობისას ცოტა ხნის ძილის შემდეგ გაბრუებულს გამოეღვიძა. მანქანა გზიდან გადასულიყო და თოვლში გაეჭედა. მამამისი ყველა ღონეს ხმარობდა, მაგრამ მანქანა ვერ გამოყავდა.

„ძალიან ცივა, მანქანაში რომ დავრჩეთ, გავიყინებით. მე გამვლელი მანქანის გაჩერებას ვცდი,“ -თქვა.

ალი და დედა მანქანაში დარჩნენ. სულ ცოტა ხანში მოირბინა მამამ მათთან. სატვირთო მანქანა გაეჩერებინა, ყველაზე ახლო რაიონამდე წაიყვანდა. ალი აქამდე არასოდეს დამჯდარიყო სატვირთო მანქანაში. დაინტერესებული აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს.

„რა ხდება ახალგაზრდავ? ჯერ არ დამჯდარხარ სატვირთო მანქანაში?“
-სიცილით ჰერთხა მძღოლმა ბიძიამ.

„არა, არ დავმჯდარვარ, მაგრამ ბევრი სატვირთო მანქანის უკან მინაწერი წამიკითხავს,“ -უპასუხა ალიმ.

„მე არ მაქვს მასეთი წარწერა. მხოლოდ აი ეს მაქვს,“ -უთხრა და სარკეზე მიკრული აია უჩვენა.

„ეს ვედრება ცხონებულმა ბაბუამ მასწავლა. სატვირთო მანქანით გრძელი გზა რომ უნდა გამევლო, თავისთან მიხმო. ეს ვედრება წამაკითხა. სანამ არ დავიზეპირე, მანამ არ გამომიშვა.“

„აქ რა წერია?“ -ჰერთხა ალიმ.

„ამბობს: ‘ეი ჩემო შემოქმედო! სადაც არ უნდა წავიდე,
სიმართლესა და კეთილდღეობაში მამყოფე.

საიდანაც წამოვალ, სიამრთლითა და
კეთილდღეობით წამომიყვანე.‘ სადმე
რომ მივდივარ, სულ ამ ვედრებას
წარმოვთქვამ. ალლაპს დიდი მადლობა,
მრავალი წელი მძღოლი ვარ და
პრობლემა არ შემქმნია.“

„მამა, ნეტავ ჩვენც ჩაგვეკითხა ეს
ვედრება, ვიდრე გზას დავადგებოდით,“
-უთხრა ალიმ.

„შვილო, ანე არასოდეს დავივიწყებთ,“
-სიცილით მიუგო მამამ.

„და თქვი: “ღმერთო
ჩემო! შემიყვანე
ჭეშმარიტებით
და გამომიყვანე
ჭეშმარიტებით, და
დამიდგინე შენგან
დამხმარე ძალა!“

(ისრა, 80)

მათხოვთ ერთგვა
სა და განების საკუთარებელი

40 ველების ერთეული



ღამეთი ბა

ბარანი საათების განმავლობაში წვალობდა საპროექტო დავალებაზე.
მასწავლებელმა გადასამუშავებელი ნივთებით სახლის აგება დაავალა.
ვერაფრით მოახერხა ნორმალური სახლის აგება. ბოლოს თავი ვეღარ
შეიკავა და წივილ-კივილით დაიწყო ტირილი.

„რატომ არ ითხოვ დახმარებას, როცა რაღაცის გაკეთებას ვერ ახერხებ?“
- ჰკითხა დედამ.

„ვის უნდა ვთხოვო დახმარება? შენ როცა გთხოვ, მეუბნები, რომ ეს ჩემი
დავალება არაა, შენი დავალებააო!“ - უპასუხა უიმედოდ დარჩენილმა ბარანმა.

„ეს იმიტომ, რომ შენ დახმარებას კი არა, დავალების დაწერას მთხოვ. მე რომ
შევუდგები საქმეს, შენ გარბიხარ!“

„კარგი. აღარ გავიქცევი. დედა გთხოვ, შეგიძლია დამეხმარო?“ - ჰკითხა
ბარანმა.

დედა ბარანთან ერთად შეუდგა პროექტის გაკეთებას.

„ადამიანი მარტო ყველაფერს ვერ გააკეთებს. ის რაც შენთვის რთულია,
სხვისთვის მარტივია. არ არსებობს საქმე, რომლის გაკეთებაც ცოტა
მიხმარებით შეუძლებელია.“

„დედა, კი მაგრამ შენ რომ გირთულდება რამის გაკეთება, ვის სთხოვ ხოლმე
დახმარებას?“

„ალლაპისგან ვითხოვთ ყოველთვის დახმარებას. მისთვის არ არსებობს
სირთულე. ჩვენი შემოქმედისთვის, რომელმაც არაფრიდან შეგვქმნა, უეჭველად
ყველაფერი ძალიან მარტივია. აი ალლაპი კი ადამიანებს დამხმარეებს უგზავნის.
ეს ზოგჯერ მამაა, ზოგჯერ მეზობელი, ზოგჯერ შენი
შვილიც კი...“

„უი, არის რამე, რაშიც მე შენ გეხმარები?“

„რა თქმა უნდა არის. ფანტაზიის

განვითარებაში მეხმარები. აი

მაგალითად:

ორმოცი წელი რომ

მეფიქრა, აზრადაც კი არ

მომივიდოდა, რომ ტუალეტის

ქაღალდის მუყაოსგან სახლის

აგება შეიძლებოდა,“ - უპასუხა დედამ.

ერთად გაიცინეს და საქმე გააგრძელეს.

“აკი, ჭაბუკებმა
თავი შეაფარეს
გამოქვაბულს და
თქვეს: “ღმერთო ჩვენო!
გვიბოძე შენგან წყალობა
და დაგვიდგინე ჩვენს
საქმეში სიკეთე-
ნარმატება!“ (ქვჳფი, 10)



დების გადასახად
და განვითარება
დების გადასახად
და განვითარება

muslim georgia
international charity foundation

კოშკი

ჰასანს ძმა შეეძინა. ჰასანი ფანჯარასთან ელოდებოდა მშობლების პატარა ძმასთან ერთად დაბრუნებას. როგორც იქნა, ნატრული სტუმარი მოვიდა. პანია, ვარდისფერი ბავშვი იყო.

„ოჱ, ოჱ, მამალლაჱ. ეს რა საყვარელი ბავშვია. გილოცავთ, თქვენთვის კიდევ ერთი შემვედრებელი შეგემატათ,“ - თქვა ბებიამ. ამ დროს ჩვილმა ტუჩები ააცმაცუნა. ჰასანს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.

„ეს ჩვილი ვედრებას წარმოთქვამს?“ - იკითხა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

ბებიას სიცილისგან თვალებიდან ცრუმლები წამოუვიდა.

„ოი ღმერთო, არადა საერთოდ არ მეცინებოდა. არა შვილო, ჩვილმა საიდან უნდა იცოდეს ვედრება. ძუძუს ეძებს. ახლა სანამ გაიზრდება, მშობლებს შეაწუხებს. თუმცა, როცა გაიზრდება, მშობლებისთვის შეევედრება, რომლებიც მისთვის ირჯოდნენ. ამის თქმა მინდოდა. ვინ იცის, ჩვენი ლამაზი შემოქმედი მის მშობლებს, მისი ვედრების მადლით, სამოთხის რა ლამაზ კოშკებს უწყალობებს,“ - უპასუხა.

„ჩემთვის არ შეევედრება? მე ხომ უფროსი ძმა ვარ. მეც ვიმსახურებ ვედრებაში მოხსენიებას!“ ბებიას გაეცინა.

„როგორ თუ არ მოგიხსენიებს? შენ მას ძმობას გაუწევ. მშობლებსაც დაეხმარები. ის კი შენთვის შეევედრება.“

„ბებია, კიდევ ათი და-ძმა მინდა მყავდეს. ყველამ ჩემთვის შეევედროს. უამრავი კოშკი მექნება.“

„რა თქმა უნდა. ათი და-ძმა ცოტაც კია. შენ ჯერ ამის დახმარებით დაიწყე და სხვებზე მერე ვიფიქრებთ,“ - სიცილით მიუგო ბებიამ.

"ღმერთო
ჩემო! შთამაგონე,
რომ მადლიერი ვიყო
იმისთვის, რაც მიბოძე მე და
ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა
კეთილი საქმე, რომელსაც
მოიწონებ. და მომმადლე
სიკეთე ჩემს შთამომაგლობაში.
უეჭველად, შენ გთხოვ
შენდობას და უეჭველად, მე
ერთ-ერთი მუსლიმთაგანი
ვარ!" (აჰაფი, 15)



ქალბატონი

ქალბატონმა ასლიმ სთხოვა მოსწავლეებს, რომ დაეწერათ პატარა თავისუფალი თემა სამომავლო გეგმებზე. იმ საღამოს იჯდა, მოსწავლეების თემებს კითხულობდა და აფასებდა.

პირველი მაჰმუთის თავისუფალი თემა აღმოჩნდა. „როცა გავიზრდები, დედაჩემივით ექიმი გავხდები. ბევრ ოპერაციას გავაკეთებ. ბევრ ფულს გამოვიმუშავებ. ჩემი მასწავლებელი თუ ისურვებს, უფასოდ გავუკეთებ ოპერაციას,“ - ენერა ქალალდზე. ქალბატონ ასლის გაეცინა და ქალალდზე ქვემოთ მიაწერა: „არა, მე არ მინდა ოპერაციის გაკეთება. უფასოც რომ იყოს, არ მესაჭიროება. მადლობა „შემდეგი თემა მერალის იყო. „როცა გავიზრდები, ცნობილი ბიზნესმენი გავხდები. ბევრ ფულს გამოვიმუშავებ. სულ მობილურით ვისაუბრებ. დიეტურ ორცხობილებს მივირთმევ. ძალიან, ძალიან ბევრ ფულს გამოვიმუშავებ.“ ქალბატონმა ასლიმ თემის ქვეშ მიაწერა: „ოოო, ქალბატონო მერალ! ამდენ ფულს გამოიმუშავებ და მხოლოდ დიეტურ ორცხობილებს შეჭამ? რა საწყენია“ ასე ათობით თემა წაიკითხა. იცინოდა, მაგრამ მოსწავლეების საერთო სურვილმა, „ბევრი, ბევრი ფულის“ გამომუშავებამ, დააღონა. ბოლო

თემის რიგი მოვიდა. ჰალილს შემდეგნაირად დაეწერა: „მე არ ვიცი, როცა გავიზრდები ვინ გამოვალ. დედაჩემი მეუბნება: ‘ვინც არ უნდა გამოხვიდე, მთავარი ალალი ფულის გამომუშავებაა. რაც შენ გეკუთვნის, იმაზე მეტს ნუ აიღებ. სხვისი წილი

არ მიითვისო. ის იკმარე, რაც გერგება.’ ალალი ფული თუ იქნება, ყველანაირ სამუშაოს გავაკეთებ.“ მასწავლებელ ასლის გაელიმა. „დედაშენს ჩემგან ხელებზე აკოცე.

მთავარი ბევრი ფული კი არა, ალალი ფულია. მიხარია, რომ ეს იცი, “ - თემას ბოლოში მიაწერა. თანაც გვერდით ვარსკვლავი დაუსვა.

“ღმერთო! შემაძლებინე განვერიდო არამს და ალალით დავკმაყოფილდე. მომმადლე წყალობა, რათა შენს გარდა სხვაზე დამოკიდებული არ გავხდე”.
(იხ. თირმიზი, “დეაფათ” 110)

მისახლებენ
სა და გენერაციას
40 ველების

ასახ!

დასაქ!



muslim georgia



ველოსიპედი

არდას დიდი ხნის მანძილზე უნდოდა ველოსიპედი. ერთ დღეს დედას უთხრა: „დედიკო, შეევედრები, რომ ველოსიპედი მიყიდოს ვინმემ? სადღაც თხუთმეტ, ოც სიჩქარიანი, მარეგულირებლით, მუხრუჭითა და მთელი აღჭურვილობით იყოს.“

დედას გაეცინა. „რამდენი დეტალია ამ ვედრებაში. შენთვის რომელიც უკეთესი იქნება, ის იყოს. ასე შეევედროთ,“ - უთხრა. „კი მაგრამ დედა, როგორც ვთქვი, ბევრ სიჩქარიანი, მარეგულირებლით...“ - უთხრა და სათითაოდ ჩამოათვლევინა დედას ვედრებისას.

მამამ წლის ბოლოს, ნიშნების ფურცლის საჩუქრად ზუსტად ისეთი ველოსიპედი უყიდა, როგორიც უნდოდა. ოცდაორ სიჩქარიანი, მარეგულირებლით... შესანიშნავი, სარბოლო ველოსიპედი იყო. არდა სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო. ველოსიპედი რომ უყიდეს, იმ დღეს, გორაკიდან სწრაფად ეშვებოდა დაბლა. სარბოლო ველოსიპედი რომ იყო, ნამებში ძალიან დიდი სიჩქარე აკრიფა. ზუსტად მოპირდაპირე გზა მთავარ გზას უერთდებოდა. არდას ჯერ ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, როცა იმ სიჩქარით მთავარ გზაზე შევარდა, გზის გამყოფს შეეჯახა, ჰაერში დატრიალდა და ერთ მხარეს თვითონ, მეორე მხარეს - ველოსიპედი გაფრინდა. თვალები რომ გაახილა, საავადმყოფოში იყო. ფეხი გიფსში ჩაესვათ. „იღბლიანი ყოფილხარ. სარბოლო ველოსიპედით, შუა ქუჩაში ამ სიჩქარის აკრეფა შეიძლება? ცუდი საგზაო შემთხვევა იყო. კარგად გამოძვერი,“ - უთხრა ექიმმა. „ჩემს ველოსიპედს რა დაემართა?“ - იკითხა დაინტერესებულმა არდამ.

„შეეშვი ახლა ველოსიპედს,“ - უთხრა დედამ, - „ოღონდ შენ გამოჯანმრთელდი და მამა ახალს გიყიდის. ისეთივეს, როგორიც გინდოდა. ბევრ სიჩქარიანს, მარეგულირებლით...“

„კარგი, კარგი, გაჩუმდი. თქვი, რაც სასარგებლოა, ის იყოს,“ - უთხრა არდამ დედას.

”ლმერთო!

დამიფარე ყველა იმ უბედურებისაგან, რაც მომელის. მომმადლე ყველა ის წყალბა, რასაც უწყი. მომიტევე ყველა ცოდვა. შენ ხარ ყოვლისმცოდნე“. (ახ.



მისამართი
და გეგმის მიზანი
არ იყო აუკის

muslim georgia
International charity found

ლოგი

ესმა საშინაო დავალებას წერდა. რაღაცამ ჩააფიქრა. ამ დროს დედასთან შევიდა სააბაზანოში, რომელიც სარეცხს რეცხავდა.

„დედიკო, გულის გაქვავება რას ნიშნავს?“ - ჰეითხა.

„შვილო, ლექსიკონში ნახე,“ - უპასუხა დედამ.

„გადავხედე და ვერ ვიპოვე.“

დედამ რეცხვას თავი დაანება. გვერდით ტაბურეტზე ჩამოჯდა.

„გულის გაქვავება, ბევრი ცოდვის ჩადენის შედეგად, ადამიანის გულში სიკეთის გაქრობას, ადამიანის გაბოროტებას ნიშნავს.“

დედამ შეამჩნია, რომ ესმა ვერ მიხვდა, რის თქმასაც ცდილობდა.

„აი შეხედე,“ - უთხრა დედამ და ხელში ჭუჭყიანი ტანსაცმელი აიღო, - „ეს ტანსაცმელი ქათქათა თეთრი იყო. მასზე ლაქებს ხედავ? ესენი რომ არ მოვაშორო, ჭუჭყი დაგროვდება და დროთა განმავლობაში ტანსაცმელი გაშავდება. ალლაპმა ჩვენი გულებიც ასეთივე სუფთა, თეთრი შექმნა.

ცოდვები ამ ლაქებივით გააშავებს გულს. თუ არ გასუფთავდება, მთელ გულს მოიცავს. ანუ ადამიანის გული გაშავდება. სიკეთის გაკეთება აღარ მოუნდება. ახლა მიხვდი?“

„დიააახ, მაგრამ გული როგორ გასუფთავდება?“ - ჰეითხა ესმამ.

„რა თქმა უნდა, სარეცხი საშუალებით,“ - მიუგო დედამ. ესმას გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.

„ვიხუმრე, უბრალოდ ვიხუმრე. გულს მონანიება

ასუფთავებს. ადამიანი შეცდომას რომ

მიხვდება და ალლაპისგან პატივებას

ითხოვს, გული ისევე გაიწმინდება

ლაქებისგან და გასუფთავდება,

როგორც სარეცხ საშუალებაში

გავლებული ტანსაცმელი.“

„დედა, რეკლამასავით

საუბრობ. სარეცხი საშუალების

რეკლამასავით,“ - უთხრა ესმამ

კისკისით.

„ეს, რეალურად, მონანიების რეკლამა

იყო,“ - სიცილით მიუგო დედამ.

„ღმერთო!

განწმინდე ყველა

ჩემი შეცოდებანი

თოვლითა და სავსე

წყლით. როგორც თეთრი

ტანსაცმელი ჭუჭყისგან

ირეცხება, ჩემი გულიც

შეცოდებათაგან ისე

განმიწმინდე“. (იხ. ბუჟარი,

„დეავათ“ 39)

წენილი

დასუფთავების დღე იყო. სევგიც დედას ეხმარებოდა. მტვრის დასუფთავებას ყოველთვის სევგი იღებდა საკუთარ თავზე. სევგი კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს რომ ასუფთავებდა მტვრისგან, სურათის ქვედა ნაწილში პატარა წარწერა დაინახა. „ჩემო ალლაჲო, მინდა იმ ადამიანად მაქციო, ვისაც ეყვარები, ის ეყვარება, ვინც შენ გიყვარს და ვინც შენს სიყვარულს ეზიარება,“ - ეწერა.

„დედა, ეს პატარა წარწერა რა არის?“ - ჰკითხა სევგიმ, - „ლექსივითაა.“ დედამ შეხედა რაზე ეკითხებოდა სევგი. „ძვირფასო, ეს ასო-ბგერების სურათია. მანდ ჩვენი შუამავლის ჰადისი წერია. ქვემოთ დაწერილი პატარა წარწერა კი ამ ჰადისის ქართული შესატყვისია. მართლაც ლექსივითაა. ხომ ლამაზია?“ სევგი ისევ და ისევ კითხულობდა წარწერას. ძალიან მოეწონა. ღამით დღიურს რომ წერდა, გაახსენდა. დღიურის ერთ კუთხეში ლამაზად დაწერა:

„ჩემო საყვარელო ალლაჲო, ძალიან მიყვარხარ. ისინიც ძალიან მიყვარს, ვინც შენ გიყვარს. გთხოვ, მეც შემიყვარე. შენი, შენი საყვარელი ადამიანებისა და შენი მოყვარულების მოყვარული სევგი.“

"ღმერთო,
მომმადლე წყალობა
შენდამი სიყვარულისა და
შენი მოსიყვარულეთა მიმართ
სიყვარულისა. მომმადლე
წყალობა ვაკეთო ისეთი საქმენი,
რომლებიც შენდამი სიყვარულს
მომანიჭებს. მომმადლე
წყალობა შენდამი უსაზღვრო
სიყვარულისა.“ (თირმიზი,
"დავათ" 73)





მუზეუმის
და გეოგრაფიული
ექსპოზიციები

MUSEUM
of Georgia
International Charitable Foundation



ზემო

ემინი ძალიან ღელავდა. მეორე დღეს სკოლაში ზეიმი იყო. ზეიმზე ღექსი უნდა წაეკითხა. ღექსი დაეზეპირებინა, მაგრამ იმდენი ადამიანის წინ სცენაზე ასვლა და ღექსის წაკითხვა ძალიან აშინებდა.

ისევ ოთახში ჩაკეტილიყო და ღექსის წაკითხვაში მეცადინეობდა, როცა დედამისი რაღაცის ასაღებად ოთახში შევიდა.

„დედიკო, ჩემთვის შეევედრე, რომ ხვალ არ შევრცხვე,“ - უთხრა.

„შვილო, რის გამო უნდა შერცხვე? ცელქი არ ხარ, ქურდი არ ხარ. არ მოგიტყუებია, არ გიჭორავია. რაღაც ღექსი უნდა წაიკითხო. რა არის ამაში სამარცხვინო?“ - ჰკითხა დედამ.

„რომ დამავიწყდეს?“ - მიუგო შეძრნუნებულმა ემინმა.

„თუ დაგავიწყდება, დაგავიწყდეს. რა მოხდა მერე? ეს არც სირცხვილია, არც ცოდვაა. არ ინერვიულო. რომ არ შეგძლებოდა, მასწავლებელი შენ არ აგირჩევდა. ალლაპმა ყველა საქმე წარმატებით დაგასრულებინოს. შენ შეევედრე, რომ ალლაპმა წყალივით წაკითხვა შეგაძლებინოს.“

მეორე დღეს, ზეიმზე, ემინი თავის რიგს რომ ელოდებოდა, ნერვიულობისგან ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. წინა საღამოს ნათქვამ, დედის სიტყვებზე დაფიქრდა. ისევ დახუჭა თვალები და ვედრება წარმოთქვა. მისი ღექსის წაკითხვის დრო დადგა. ღრმად ჩაისუნთქა და ჩაარაკრაკა ღექსი. როცა დაასრულა, მეგობრებმა ომახიანად დაუკრეს ტაში.

თვითონაც კი გაუკვირდა, ისე კარგად წაიკითხა.

სცენიდან ჩამოვიდა. დედასთან სიხარულით მიირბინა. დედამ შუბლზე აკოცა.

„ოოო, ძალიან გაოფლიანებულხარ. ზურგი მთლად სველი გაქვს,“ - უთხრა დედამ.

„დედიკო, შენი ვედრება ახდა, წყალივით წავიკითხე ღექსი და სულ დავსველდი,“ - სიცილით მიუგო ემინმა.

„ღმერთო! ჩვენი ყველა საქმე კეთილად დაასრულე. დაგვიფარე ამქვეყნად შერცხვენისა და საიქიოში წამებისგან!“ (იხ. აპმედ ბ. პანბელი,

„ელ-მუსხედ“, 4/181)



მისამართი
საქართველო
40 ვაკების ქვეყნი

MUSLIM DEEN
INTERNATIONAL CHARITY FOUNDATION

მაღლობის ჩა

ესრას ბებია ძალზე შეუძლოდ იყო. დიდი ხნის მანძილზე მათ სახლში იყო. ერთ დღესაც სტუმარი მოვიდა.

„როგორ ხარ ჰაჯო დეიდა?“ - ჰკითხა ბებიას.

„შვილო, ამ ასაკში როგორ ვიქწები? ფეხები მტკივა და ვერ დავდივარ. რომ ვზივარ,

წელი მტკივა. დაწოლისას ზურგი მიკავდება. წელში მოხრისას თავბრუ მეხვევა, ძლივს ვსწორდები.

სრულიად მოულოდნელად მარცხენა მხარეს ტკივილი მომივლის და ორად ვიკეცები.

მოკლედ რომ ვთქვათ, მადლობა ღმერთს კარგად ვარ,“ - უპასუხა. ესრამ გადაიკისკისა.

„ბებია, ყველანაირი ავადმყოფობა ჩამოთვალე და მაინც, მადლობა ღმერთს კარგად ვარო, ამბობ.“

„შვილო, ამ მდგომარეობაზეც მადლიერი ვარ. ალლაჰმა ნაწყალობევისთვის

მადლიერების გამოხატვის შეგნება გვიბოძოს.

მართალია ცოტათი ტკივილები მაქვს, მაგრამ ხელებს თავისუფლად ვიყენებ, ლოცვებს ვასრულებ, საჭმელს ვჭამ, საპირფარეშოში

მე თვითონ დავდივარ. ამ ასაკში სხვა რაღა უნდა ვისურვო?“

ესრამ ისევ გაიცინა.

„ბებიკო, რეანიმაციაშიც რომ მოხვდე, მაინც იპოვი რაიმეს სამადლობლად.“

„აბა რა! ყოველი ამოსუნთქვისთვის მადლიერი ვარ! ყველაფრისთვის დიდ მადლობას ვუხდი შემოქმედს,“ - მიუგო ბებიამ.



„და შეიკრიბა
სულეიმანთან მისი
ჯარი, შემდგარი
ჯინთაგან, კაცთაგან და
ფრინველთაგან. ყველანი
ცალ-ცალკე რაზმებად
დაწყობილნი“. (6ემლი, 17)



მისამართის
გენერალური დაცვის
სამინისტრო
40 ვარ ჩემი

muslim
international charity foundation

ჩანაწერი

ფევზი ბებიასთან ერთად ტელევიზორს უყურებდა.
ტელევიზორში სახალისო გადაცემა იყო. ადამიანებს
ფარული კამერით იღებდნენ. ხალხს კითხვებს უსვამდნენ,
იმათაც არ იცოდნენ კამერა თუ უღებდა და პასუხობდნენ.
ფევზის სიცილისგან მუცელი ატკივდა, თუმცა ბებიას სახე
მოღუშოდა. ფევზიმ შეამჩნია, რომ უხალისოდ იყო.
„ბებიკო, შენ რატომ არ იცინი? ძალიან სასაცილოა!“ -
მიუგო.

„იმას ვფიქრობ, თუ ჩვენ როგორ მოვიქცევით,“ - უთხრა
ბებიამ. ფევზიმ ვერაფერი გაიგო.

„იმას ფიქრობ, ჩვენ რას გავაკეთებდით, კამერით რომ გვიღებდნენ?“
„არ გვიღებენ?“ - ჰკითხა ბებიამ. როცა შეამჩნია, რომ ფევზი ვერაფერს
ხვდებოდა, განუმარტა:

„ანგელოზები ჩვენს ყოველ ქცევას აფიქსირებენ. მომავალში,
განკითხვის დღეზე გვაჩვენებენ ამ ჩანაწერებს. ვის ზურგს უკან
ვიღაპარაკეთ, ვის ვაწყენინეთ, ვინ ავატირეთ... ყველაფერი ცხადი
გახდება. ასევე უყურებს ყველა, როგორც ტელევიზორშია. ალლაპმა, იმ
დიდ დღეს არ შეგვარცხვინოს! ამიტომაც უნდა მივაქციოთ ყურადღება,
თუ რას ვიტყვით. ადრე თუ გვიან ყველაფერს ნათელი მოეფინება.“

ფევზის უცებ დილით, სკოლის მეგობარზე ნათქვამი სიტყვები
გაახსენდა, რომლის მოსმენაც მას ძალიან გაანაწყენებდა.
გაიფიქრა, რომ ის სიტყვები მეგობრის ყურამდე
მიაღწევდა. ლამის გული წაუვიდა!

„ბებიკო, კი მაგრამ, ამ ჩანაწერების წაშლა თუ
შეიძლება?“ - ჰკითხა დაეჭვებულმა.

„როგორ არა! შეცდომას თუ გააცნობიერებ,
მოინანიებ, იმ ადამიანს თუ მოუბოდიშებ,
ვისთანაც შეცდომა დაუშვი, ჩანაწერები
სასიკეთოდ შეიცვლება.“

ფევზიმ ღრმად ამოისუნთქა.

**„და არ
შემარცხვინო
აღდგომის დღეს.“**

(შუარა, 87)



მისამართი
გეოგრაფიული
და გეოგენეტური
კურსები

40 ვარგი

სკოლა

ნეშე თავისივე უბანში მდებარე, ყველაზე ძველსა და ყველაზე ცნობილ, ბატონი აპმეთის სახელობის, სკოლაში სწავლობდა.

ერთ დღესაც, დავალება მათ წრეში ცნობილსა და საყვარელ ადამიანზე ჰქონდათ მოსამზადებელი. შერჩევის საკითხში მამისგან დახმარება ითხოვა.

„შეგიძლია, ბატონ აპმეთზე დაწერო დავალება,“ - უთხრა მამამ.

„ეგ ვინაა?“ - ჰკითხა გაოცებულმა ნეშემ. მამასაც გაუკვირდა.

„შენ არ იცი, ბატონი აპმეთი ვინაა? სკოლის შესასვლელში დიდი პორტრეტი რომ არის. ვისი პორტრეტია ის? ბატონი აპმეთის. იმ ადამიანის, ვინც თქვენი სკოლა ააშენებინა.

ჯერ თავი მაღლა არ აგინევია და არ შეგიხედავს?“

ნეშემ ‘უარყოფის’ ნიშნად თავი გააქნია. მამამ წიგნი თაროდან

ერთ-ერთი წიგნი აიღო. იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ბატონ აპმეთზე იყო ინფორმაცია. როგორც წიგნში ეწერა,

ბატონმა აპმეთმა თავისი ცხოვრება ბავშვების განათლებას მიუძღვნა. თავისი კოშკი, რომელსაც მრავალი დაზიანება ჰქონდა,

სკოლად აქცია. მას შემდეგ, ათასობით მოსწავლე მიიღო სკოლამ. წიგნში ბატონი აპმეთის იგივე პორტრეტი იყო, რომელიც სკოლაში ეკიდა და ასევე მისი საფლავის ფოტო იყო დატანილი.

საფლავის ქვაზე „ბატონი აპმეთი“ ეწერა. ქვემოთ კი ეს იყო მიწერილი: „ჩემო ალლაპო, მინდა იმ ადამიანად მაქციო, ვისაც მომავალი თაობა სასიამოვნოდ მოიხსენიებს.“

„რა კარგია, მისი ვედრება შესმენილია,“ - გაიფიქრა აიშემ.



”ღმერთო!
ყველაფერი,
რაც მასწავლე,
სასარგებლო ჰქმენ და
მასწავლე ყველაფერი, რაც
სასარგებლოა. მომმადლე
ნყალობა, მივიღო
სასარგებლო ცოდნა“. (იხ. ჰაქიმ, ”დეავათ“ წმ. 1879, 1, 510)



შეგინიღო

ქერემი მცირენლოვანი იყო, უმამოდ რომ დარჩა. სამი პატარა და-
ძმაც ჰყავდა. ძალიან კარგი მოსწავლე იყო, მაგრამ იძულებული
გახდა სკოლა მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო. მასთან ახლოს
მდებარე ავტო სამრეცხაოში დაიწყო მუშაობა.

ერთ დღესაც, ძვირადლირებული მანქანა მოვიდა. ქერემმა მანქანა
კარგად გაასუფთავა. მანქანის მფლობელი მანქანის წასაყვანად
რომ მოვიდა, ამტკიცებდა, მობილური მანქანის კარში დავტოვე
და ახლა აღარ არისო. ბევრჯერ თქვა, რომ მას არ აუღია, მაგრამ
ვერც უფროსი დაარწმუნა და ვერც მანქანის მფლობელი. უფროსმა
სამსახურიდან გააგდო.

ქერემი ტირილით მივიდა სახლში. მისმა მდგომარეობამ დედა ძალიან
დააღონა. „შვილო, ალლაპს მიმართე. ალლაპი უეჭველად ხედავს და
აკვირდება მის მიმდევრებს,“ - უთხრა დედამ.

ქერემმა დარდისგან დამით ვერ დაიძინა. მეორე დღეს კარის
ზარმა დარეკა. კარი გააღო და რას ხედავს! უფროსი და მანქანის
მფლობელი ერთად მოსულიყვნენ.

„ქერემ, გთხოვ გვაპატიო. გუშინ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.
ბატონს მობილური სხვაგან დარჩენია. გამოჩენდა. შენ ძალიან
გაწყენინეთ. გვაპატიო. თუ მაპატიებ, შეგიძლია ახლავე დაუბრუნდე
სამუშაოს,“ - უთხრა უფროსმა. მანქანის მფლობელმაც მოუბოდიშა.
ქერემს ძალიან გაუხარდა. სამუშაოზე დაბრუნდა.

მეორე დღეს უფროსმა ქერემს მიმართა: „აი
ნახე, ტუზი დაგეცა. გუშინ, ის ბატონი
ძალიან წუხდა თავისი დაუდევრობის გამო.
მას შენი ოჯახის მდგომარეობა ავუხსენი.
დედაშენიც თუ იქნება თანახმა, შენი
და შენი და-dმის სწავლის საფასურის
სრულად დაფარვა სურს,“ - უთხრა.

ქერემი სიხარულისგან ვერ ხვდებოდა, რა
ეთქვა. სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო,
ისევ სკოლაში რომ ბრუნდებოდა.

„დაე, თქვენ
გაიხსენებთ ჩემს
ნათქვამს. და დავუშთობ
ჩემს საქმეს ალლაპს.
უეჭველად, ალლაპი
ხედავს თავის მსახურთ.“

(გუმინ, 44)



დეილი და განვითარებული სოციალური მუსლიმ კულტურული ცენტრი

muslim georgia
international charity foundation

სუფრა

ცხვრა

მარხვის ერთ-ერთ დღეს თურული დედას სუფრის გაწყობაში ეხმარებოდა. დედამ თევზები, ჩანგლები და ჭიქები მისცა მაგიდაზე დასალაგებლად. თურულმა მაგიდის გაწყობისას თავისთვის ჩაიცინა.

„დედიკო, ყველაფერი ოთხ-ოთხი ცალი მოგიცემია. რა ხდება, სტუმარი გვყავს?“ - ჰქითხა.

დედასაც გაუკვირდა. „უი, მართლა? როგორც ჩანს, ფიქრებში წავსულვარ. შვილო, ზედმეტი რაცაა, აიღე,“ - უთხრა. თურული ზედმეტ ჭურჭელს რომ იღებდა, კარზე ზარი დარეკეს. ეს მამა უნდა ყოფილიყო. თურული კარისკენ გაიქცა. კარი რომ გამოაღო, მამასთან ერთად ვიღაც უცნობი იყო. „ცოლო, სუფრაზე ერთი თევზიც დაამატე. დღეს სტუმარი გვყავს,“ - თქვა მამამ.

დედამ და თურულმა ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს.

„მამიკო, სტუმრის თევზი ადრიანად მოსულა. ისედაც ერთი თევზი ზედმეტად დაგვიდია შეცდომით.“

მამამაც გაიცინა. „მოდი, მოდი ახალგაზრდავ,“ - უთხრა სტუმარს სუფრასთან მიპატიუებისას, - „ჩემო ცოლო, ამ ახალგაზრდის მოტოციკლეტი გაფუჭებულა. აი იღბალი, საქმეებს რომ მოვრჩი და სახლში ვბრუნდებოდი, შევხვდით.

მოტოციკლეტი კი შევაკეთეთ, მაგრამ არ გავუშვი. მარხვის მადლის მოსაგებად, ხელი ჩავკიდე და იფთარზე (ვახშამზე) წამოვიყვანე.“

„ქმარო, ძალიან კარგად მოქცეულხარ. კეთილი იყოს თქვენი ფეხი. სუფრასთან მობრძანდით, სადაცაა ეზანს იყითხავენ,“ - უთხრა თურულის დედამ.

ეზანს ერთად დაელოდნენ. პირი გაიხსნილეს. „ჩემს ცხოვრებაში არ მიჭამია ასეთი გემრიელი საჭმელები. ალლაპმა დალოცოს თქვენი ხელები. ალლაპი იყოს თქვენით კმაყოფილი,“ - თქვა სტუმარმა.

„შეგერგოთ,“ - უთხრა თურულის მამამ,
- „ჩვენს დამნაყრებელ ალლაპს დიდი მადლობა. შენი დღევანდელი ულუფა აქ ყოფილა. ჩვენი სუფრა ბარაქიანი გახადე. ეს ჩვენ უნდა გიმადლოდეთ.“

„დიდება ალლაპს,
რომელიც გვაძეველს
სარჩოს და რომელმაც
მუსლიმებად
დაგვადგინა.“

(ებუ დავუდ, "ეთიმე" 53)



მათ და მათი ქალების
გადასახვების გარეშე

40 ვერა ჩერცხვა

muslim Georgia
International Charity foundation

სილამშაზე

ნესრინის კლასში ახალი მოსწავლე მოსულიყო, სახელად აპუ. კლასში ყველა მოიხიბლა მისი სილამაზით. საღამოს ნესრინი ცოტა მოწყენილი იყო.

„დედა, ნეტავ მეც ძალიან ლამაზი ვიყო,“ - თქვა დავალების წერისას.

„შენ ისედაც ძალიან ლამაზი ხარ,“ - უთხრა დედამ.

„დედა ეგრე არაა. აი ძალიან, ძალიან ლამაზი რომ ვყოფილიყავი, ყველას ჩემზე რომ შემოეხედა, აჲ რა ლამაზიაო რომ ეთქვათ.“

„მე ჯერ არ მინახავს მასეთი ლამაზი ადამიანი,“ - უთხრა დედამ.

„ჩვენს კლასში ერთი გოგო მოვიდა. ისე ძალიან ლამაზია, რომ ... ყველა მის სილამაზეზე საუბრობს.“

„მთავარი შინაგანი სილამაზეა. ალლაჰმა ყველას ლამაზი ზნეობა გვიბოძოს. ადამიანი მისი ხასიათით გვიყვარს და ვაფასებთ.“

ნესრინმა იფიქრა, რომ დედამ ვერ გაუგო. თუმცა, ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გამოაშკარავდა, რამდენად მართალი იყო დედამისი.

აპუ მართლაც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ძალიან გათამამებული იყო. მოკლე ხანში მოაბეზრა კლასელებს თავი. ისე უნდოდა ყოფილიყო ყველაფერი, როგორც თვითონ იტყოდა და თუ არ შესრულდებოდა, იბუტებოდა. გამუდმებით კაპრიზნობდა, უბრალო რამეზეც ტიროდა და მასწავლებელთან ასმენდა. სულ მცირე ხანში, კლასში ერთი მოსწავლეც

არ იყო დარჩენილი, ვისაც მასთან მეგობრობა სურდა. რამდენიმე

თვის შემდეგ, ოჯახმა სხვა სკოლაში გადაიყვანა. როგორც ამბობდა,

იმიტომ გადადიოდა სკოლიდან, რომ ვერ იპოვა

ისეთი მოსწავლე, ვისთანაც იმეგობრებდა.

ნესრინმა მისი ცარიელი მერხი რომ

დაინახა, გაეცინა. „ასეთი ხასიათით

კიდევ ბევრ სკოლას მოივლის,“ -

გაიფიქრა.

„ღმერთო,
როგორც
ჩემი არსებობა
გაალამაზე, ისევე
გამილამაზე ჩემი
ზნეობა.“

(იხ. იბნ ჰანბელი,
"ელ-მუსენდ" 1, 403)



40 ვერა ქავებული
International University of Georgia

საჩიუქანი

თურგუთი სკოლიდან რომ გამოვიდა, სამხრობის ლოცვის სალოცავად უახლოესი მეჩეთისაკენ გაეშურა. ილოცა. ვედრების წარმოთქმის გარეშე, სწრაფად გამოდიოდა მეჩეთიდან, როცა მოხუცმა კაცმა გზა გადაუჭრა.

„შვილო, საჩუქრის მიღების გარეშე სად მიდიხარ? სახლში ხანძარი ხომ არ გაჩნდა, სად მიიჩქარი?“

თურგუთი გაოცდა. იმის გასაგებად, მას მიმართეს თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ მიიხედა.

„შვილო, შენ მოგმართავ. აქეთ-იქეთ ნუ იყურები. ლოცვა შეასრულე, ის გააკეთე, რაც გევალებოდა. ალლაჰმა მიიღოს. რიგი ლოცვის იმ ლამაზ საჩუქარზეა. ჩვენი შემოქმედი ბრძანებს: ‘შემევედრეთ, რომ თქვენს ვედრებას ვუპასუხო.’ უნდა ითხოვო, რომ გიბოძოს. როგორც ჩანს, დიდი დარდი გაქვს, რომ ასეთ შესაძლებლობას უშვებ ხელიდან და მირბიხარ. ან სახლი გეწვება, ან მძიმე ავადმყოფი გყავს. ამ საჩუქრზე ასე უბრალოდ უარი არ ითქმება.“


„არააა,“ - უთხრა გაოცებულმა თურგუთმა, - „არსად მეჩქარება.“

„თუ ასეა, საჩუქარზე უარს ნუ იტყვი. შემდეგ ინანებ. შენ თუ არ გინდა, სხვას აჩუქე. მაგალითად, მე. თუ შენთვის არაფერი გინდა, ჩემთვის შეევედრე. მე ბევრი რამე მინდა,“ - უთხრა მოხუცმა. თურგუთს გაეცინა.

„საუკეთესო გამოსავალი საჩუქრის განაწილებაა. მე რაღაც ნაწილს ჩემთვის ავიღებ, შემდეგ კი თქვენც გინილადებთ.“

„აი ასე შეიძლება. აბა, ალლაჰმა მიიღოს!“ - უთხრა მოხუცმა სიცილით.

62



„ღმერთო, გამიხსენი სიკეთის გზა, ყველა ჩემი საქმიანობა სიკეთით დამასრულებინე, მომმადლე ყოველგვარი წყალობა და სამოთხეში მაღალ საფეხურზე დამამკვიდრე. ღმერთო! მიიღე ჩემი ვედრება!“

(იხ. ჟაჟიმ, „დეავათ“, 1911)



მათი სისტემის
სამართლების
მიერ გვიცის

40 ვერა ქადაგი

ქსოვი

88

იმ დღეს დედა სახლში არ იყო და ამიტომაც, სევდა სკოლის შემდეგ მათ მეზობელთან, დეიდა ჰათიჯესთან, მივიდა.

დეიდა ჰათიჯემ ჩვეულებრისამებრ გაბადრული სახით გააღო კარი. სევდა სახლში შევიდა და ხელები დაიბანა.

დავალების წერას შეუდგა. დეიდა ჰათიჯემ სევდას უგემრიელესი ორცხობილები და ხილის წვენი მოუტანა თეფშით.

სევდა თან ორცხობილას შეექცეოდა, თან დავალებას წერდა, დეიდა ჰათიჯემ კი საქსოვი ინსტრუმენტები აიღო ხელში. ელპამდულილლაპ, ელპამდულილლაპ, ელპამდულილლაპ, თქვა და ქსოვა დაიწყო. სევდა გარკვეული დროის განმავლობაში უყურებდა. მის საქციელს ახსნა ვერ მოუძებნა.

„დეიდა ჰათიჯე, კრიალოსანის თვლასავით რატომ ქსოვ?“ - ჰკითხა.

დეიდა ჰათიჯემ გაიღომა. „ალლაპს მადლობას ვუხდი,“ - მიუგო.

„ასე ხშირად რატომ იმეორებ?“ - ჰკითხა გაოგნებულმა სევდამ.

„იმიტომ, რომ სამადლობელი ბევრი რამაა,“ - უპასუხა დეიდა ჰათიჯემ, - „აი მაგალითად: პირველად ნათქვამი ელპამდულილლაპ, შენისთანა

საყვარელი სტუმრისთვის იყო. მეორე ელპამდულილლაპ - სტუმრისთვის შესათავაზებელი ფორთოხლის რომ მიბოძა. მესამე ელპამდულილლაპ - ხილის წვენის მოსამზადებლად, ფორთოხლის დაწურვისთვის ბოძებული ძალისთვის.

მეოთხე ელპამდულილლაპ...“

„ოოო!“ - უთხრა სევდამ ნახევრად ხუმრობით და ნახევრად იჭვნეულად.

„ახლა კი ორცხობილების რიგია.

ფქვილი, კვერცხი, ზეთი... მართლაც რამდენი რამაა სამადლობელი.

დაღამებამდე რომ ვიძახოთ მადლობა, არ გამოილევა.“

„ელპამდულილლაპ,“ - ღიმილით თქვა დეიდა ჰათიჯემ.

„ღმერთო! მომმადლე წყალობა, მყარად ვიდგე სიკეთისა და სიმართლის გზაზე. შემაძლებინე გამოვხატო მადლიერება ყველა იმ წყალობის გამო, რასაც მომმადლი და ასევე შემაძლებინე საუკეთესოდ აღვასრულო ღვთისმსახურება“. (იხ. ჰაქიმ, „დეავათ“ ნო. 1872)



მისამართი
საქართველო
თბილისი

40 ვერებულებები

muslim found
muslim found
muslim found
muslim found
muslim found

შზილავი

თოლგა დედასთან ერთად საყიდლებზე წასულიყო. აქაურობა ვიწრო გზაზე ჩაყოლებული მაღაზიებით წარმოდგენილი, გადატვირთული ქუჩა იყო. დედასთან ერთად ხან ერთ მაღაზიაში შედიოდა, ხან კიდევ მეორეში. ხელები ცელოფნის პარკებით ჰქონდა სავსე.

თოლგამ დედას, დასახმარებლად, რამდენიმე პარკი გამოართვა, რის ძალაც შესწევდა. თავდაპირველად პარკები არ იყო მძიმე, მაგრამ ცოტა ხნის ტარების შემდეგ, საკმაოდ დამძიმდა. თითები გაუწითლდა. მკლავები და მხრები ატკივდა. ამ დროს მზიდავს გადაეყარნენ. სუსტი კაცი იყო. თავისზე თითქმის სამჯერ დიდ ტვირთს დაატარებდა. თოლგამ გაოცებით შეხედა იმ კაცის ტვირთს და შემდეგ თავის პარკებს დახედა.

ვიწრო გზის გამო ნელ-ნელა მიუყვებოდნენ მზიდავის უკან გზას. ამ დროს, დედამ ის კართან დატოვა და მაღაზიაში შევიდა. მზიდავმაც თავისი ტვირთი მაღაზიის კართან ჩამოილო. ზურგის მოსადუნებელი მოძრაობები გააკეთა. როცა დაინახა, რომ თოლგა გაკვირვებული უყურებდა, ჰკითხა: „რა მოხდა ახალგაზრდავ, რას უყურებ?“

„ასე მძიმე ტვირთს როგორ ატარებთ?“ - ჰკითხა თოლგამ.

მზიდავს გაეცინა.

„ყოველ დილით, სამუშაოს დაწყებამდე, ვედრებას წარმოვთქვამ.
‘ჩემო ალლაპო, სხეულში ძალა შემმატე და სამუშაო გამიმარტივე,’
- ვამბობ. როგორ შეიძლება ალლაპის დაუხმარებლად ამხელა
ტვირთის გადაზიდვა?“

თოლგამ ‘მართალი ხარ’ - ის ნიშნად თავი
დააქნია. ამ დროს, დედა მაღაზიიდან

გამოვიდა. თოლგა პარკებს რომ

იღებდა, წაიჩურჩულა:
„ჩემო ალლაპო, ეს საქმე
გამიმარტივე.“

“უთხრა:

“ღმერთო ჩემო!
გამიფართოვე გული
ჩემი და გამიადვილე
მე საქმე ჩემი!“

(ტაპა, 25-26)





მათი სამართლები
საქართველოს მთავრობის
მუზეუმის მიერ

muslim ©
International charity foundation
muslim

ლაშქ

დედა ზღაპრის წიგნს რომ ხურავდა, მაჰმუთი საწოლში თვლემდა.

„ძილი ნებისა,“ - უთხრა დედამ, ოთახში შუქს რომ აქრობდა.

„დედა, შუქი არ ჩააქრო,“ - უთრა მაჰმუთმა.

„რატომ?“ - ჰკითხა დედამ.

„შუქს რომ აქრობ, კედელზე ჭიანჭველები დასეირნობდნენ,“ - უპასუხა შეშინებულმა მაჰმუთმა.

„ჭიანჭველები? სად?“ - ჰკითხა დედამ და ისევ ჩააქრო შუქი.

„აი შეხედე! ჭიანჭველები!“ - უთხრა მაჰმუთმა და ფარდებიდან კედელზე არეკლილი გაუგებარი ნათებები უჩვენა.

დედა ამ ნათებებს შეეხო.

„ააა! ჭიანჭველები ხელზე აგაცოცდნენ,“ - დაიყვირა მაჰმუთმა.

დედას გაეცინა. „ეს ჭიანჭველა არაა. ქუჩის განათებაა. მოდი, შენს ხელზეც აცოცდეს.“

დაინტერესებული მაჰმუთი დედასთან მივიდა. კედელზე არეკლილ შუქს ხელი დაადო.

„ნახე! შენს ხელზეც აცოცდა ჭიანჭველა,“ - სიცილით მიუგო დედამ. მაჰმუთმაც გაიცინა. შემდეგ რიგის მიხედვით სხვა ანარეკლებსაც შეეხო. დაწოლისას მაჰმუთმა ჰკითხა: „დედიკო, შენ არაფრის გეშინია?“

„ზოგჯერ მეშინია. შიშის დროს ალლაპს

მივმართავ. ჩემო ალლაპო, შიშები

დამაძლევინე და რწმენა შემმატე, ასე

ვევედრები. შიში მეფანტება.

აბა, ძილი ნებისა,“ - უთხრა და

ოთახიდან გავიდა.

მაჰმუთი საპანში კარგად

რომ გაეხვია, შეევედრა: „ჩემო

ალლაპო, შიშები დამაძლევინე და

რწმენა შემმატე.“ შემდეგ კი ღრმად

ჩაეძინა.

"ღმერთო!
დაფარე ჩემი
ნაკლოვანებანი,
გამათავისუფლე
შიშებისგან და ნდობა
განმიმტკიცე."
(იხ. ჟაქიმ, "დეავათ" ნო.
1902, 1, 517)



ნეფია

ნეფისეს მოხუცი ბებია მათ სახლში ცხოვრობდა. ღრმად მოხუცებული იყო და ბევრი რამე ავიწყდებოდა. ერთ დღესაც, ნეფისემ შეამჩნია, რომ ბებია თავისთვის ბუტბუტებდა.

„ბებიკო, მოხდა რამე?“ - ჰეითხა.

„ვფიქრობ, ლოცვა შევასრულე თუ არა,“ - უპასუხა.

„ხომ ილოცე ბებიკო. როგორც კი იკითხეს ეზანი, მაშინვე ილოცე,“ - მიუგო.

„ეჸ!“ - თქვა გაკვირვებულმა ბებიამ, - „ჩემო ალლაპო, ნუ მომკითხავ იმას, რაც მავიწყდება!“ - შეევედრა, “ - „ამ ბოლო დროს ცოტა ავირიე.“

„ცოტა?“ - სიცილით ჰეითხა ნეფისემ.

„რა თქმა უნდა, ცოტათი,“ - უთხრა დამწუხრებულმა ბებიამ, - „ზოგჯერ ლოცვები მავიწყდება. ალლაპმა მაპატიოს.“

„მხოლოდ ლოცვები არ გავიწყდება. ალბათ დაგავიწყდა, გუშინ მთელი დღე სათვალე რომ გეკეთა და სათვალეს ეძებდი.“

ბებიას გაეცინა. „მართალი ხარ.“

„თანაც, მე გამიბრაზდი, შენ მოგეცი სათვალე და ვინ იცის, სად დადევიო.“

„ოი ალლაპ! მასე მოხდა არა? ნუ

გამინაწყენდებით. უკვე
მოვხუცდი,“ - უთხრა

ბებიამ.

შემდეგ ხელში

მოქცეულ

სალოცავს დახედა

და თქვა: „ ნეტავი

ვილოცე?“

„ღმერთო ჩვენო!
ნუ მოგვეითხავ, თუკი
დაგვავიწყდა ან შევცდით!
ღმერთო ჩვენო! არ
გვატვირთო მძიმე ტვირთი,
როგორც იმათ ატვირთე, ვინც
ჩვენ უნინარეს იყო!... ღმერთო
ჩვენო! არ დაგვაკისრო ის,
რისი ძალაც არ შეგვწევს.“

(ბაყარა, 286)



musiQ
international charity foundation

Almaty
Astana
Georgian
Tbilisi